რამდენს მისცემს აბაშიძე „ერთობას„? A2

საქართველოს ნაკრებს ალტერნატივა ეყოლება A6

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 22 ივლისი, 2003 წელი. №199 (411)

ფასი 30 თეთრი

ნიკა ლომინაძის მკვლელობა

როგორ იძიებენ მილიონების გაქრობის საქმეს და რა მოხდა სინამდვილეში

(წერილი მესამე)

სოფიკო ჩხაიძე

შარშან აგვისტოში "AES თელასის" ფინანსური დირექტორის მშობლების ბინაში მკვლელობის ვერსიად სამართალდამცველები იმთავითვე მის სამსახურებრივ საქმიანობას განიხილავდნენ. მოგვიანებით, ვერსია დაკონკრეტდა – გამოძიება ლომინაძის სამუშაო კაბინეტში ნაპოვნი საეჭვო დოკუმენტების დახმარებით 2,5 მილიონიანი ფინანსური მაქინაციის კვალს დაადგა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ნიკა ლომინაძე

ბეიკერის გეგმა ინგრევა

სამთავრობო ფრაქციები, "აღორძინება" და "მრეწველები" პრეზიდენტის მიერ დანიშნულ რიგგარეშე სესიას ბოიკოტს უცხადებენ

გიორგი ასანიშვილი

ქართულ პოლიტიკურ წრეებში ნელ-ნელა ქრება მითი ბეიკერის "ფორმულის" უნივერსალურობის შესახებ. ეს, ალბათ, სავარაუდოც იყო: ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის მიერ თბილისში ჩამოტანილი პროექტი მთლად ორიგინალური არ ყოფილა და არსებით ნოვაციას არ შეიცავდა. მისი სხვადასხვა ვარიაციები ხელისუფლების მხარდამჭერ ძალებსა და ოპოზიციას შორის გამართული კონსულტაციების დროსაც განიხილებოდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო აღმაფრენა, რომელსაც ქართული პოლიტიკური სპექტრი ბეიკერის ვარიანტის მიმართ ამჟღავნებდა, ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო. გარკვეულ ძალებს, ალბათ, მართლაც გულწრფელად მოსწონდათ ამერიკელის მიერ შეთავაზებული შეთანხმების პროექტი, მაგრამ სხვები აშკარად ცრუობდნენ და ფარისევლობდნენ, როდესაც ბეიკერის გეგმას ტაშს უკრავდნენ. სინამდვილეში, მათ ერთი სული ჰქონდათ, როდის დაასამარებდნენ ამ გეგმას. იმის გარკვევას, თუ "ვინ ვინ არის", დიდი დრო არ დასჭირვებია - ბეიკერის სტუმრობიდან ორი კვირის შემდეგ უკვე დაპეჭითებით შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ უჭერს მხარს "ბეიკერის შეთანხმებას" რეალურად და ვინ ეწინააღმდეგება. კარტები პარლამენტში გუშინ გაიხსნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

უშიშროების სამინისტროს ოპერაცია - "სკოგ"

მაია ურუშაძე

ნავთობპროდუქტების ექსპორტ-იმპორტი, რეალიზება და წარმოება უშიშროების სამინისტროს საგანგებო კონტროლზე აჰყავს. ამის თაობაზე გუშინ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს ხელმძღვანელმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა.

ნავთობპროდუქტების კონტრაბანდისა და ამ სფეროში ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, უშიშროების სამინისტრომ საგანგებო კომპლექსური ოპერატიული გეგმის - "სკოგ"-ის განხორციელება დაიწყო.

ლალიაშვილის თქმით, ნავთობპროდუქტებზე კონტროლის გაძლიერების საკითხმა მას შემდეგ წამოიწია, **"რაც ცალკეული სტრატეგიული სასაქონლო ჯგუფების, მათ შორის ნავთობის, მსუბუქი და საშუალო დისტილატების ადმინისტრირების თვალსაზრისით ქვეყანაში საგანგაშო ვითარება შეიქმნა."** აღურიცხავი და დაუბეგრავი ნავთობპროდუქტების ხვედრითი წილი ქვეყანაში კატასტროფულად გაიზარდა, რამაც სახელმწიფოს სოლიდური ზარალი მიაყენა და საბოლოოდ, საბიუჯეტო ხარჯების შეზღუდვის აუცილებლობამდე მიიყვანა.

"არსებული ვითარება აშკარა საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში "სკოგ"-ის ამოქმედება დაისვა," – განაცხადა ლალიაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	32
ქუთაისი	29
ბათუმი	26
სოხუმი	27
ფოთი	27
თელავი	29
ზუგდიდი	29
გორი	27
ახმეტა	29
ჭიათურა	32
გაბრა	26
სამტრედია	29

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.4891
გირვანქა სტერლ	3.5750
რუბლი	0.0708

„ოპლიგაციები შევარდნაძემ გაიკრას კრწანისის რეზიდენციაში"

პენსიონერებმა იუსტიციის სამინისტროს შენობის წინ კარავი გაშალეს

ვერიკო თევზაძე

გუშინ იუსტიციის სამინისტროს შენობის წინ კარავი გაიშალა - შენობის შიგნით მყოფ მოშიმშილეებს პენსიონერებმა სოლიდარობა გამოუცხადეს.

ვიდრე პენსიონერები კარავში დაბანაკდებოდნენ, "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა აქცია მოაწყეს. გაყინული პენსიების "გალღობის" გარდა, გამომსვლელებმა შევარდნაძის გადადგომაც მოითხოვეს. როგორც ცნობილია, აქციის მთავარი თემა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პირობებია. სამინისტროს შენობის წინ გამოკრული ერთ-ერთი ლოზუნგი ასეთი შინაარსისაა: **"პრეზიდენტო, გეშინოდეს, ამდენ მშიერ ხალხში ვიღაცის ლუკმა გახდები!"**

"ნაციონალთა" საპროტესტო აქციას ექიმთა თავისუფალმა პროფკავშირებმა, უსინათლოთა ორგანიზაციამ და პედაგოგებმა დაუჭირეს მხარი. თბილისის 154-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გოჩა გურგენიძემ, სოლიდარობის ნიშნად, შიმშილობა გამოაცხადა. გურგენიძე აქციის ორგანიზატორებს დაჰპირდა, რომ პენსიონერთა პროტესტს 78 ათასი პედაგოგი შეუერთდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია - "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაერთიანება" - "ნაციონალური მოძრაობის" მხარდასაჭერად აქციებს მთელი საქართველოს მასშტაბით გამართავს. რომან გოცირიძის პროგნოზით, პარლამენტი მიიღებს კანონს 2003 წლის ბიუჯეტის სეკვესტრის შესახებ, რომელიც, სხვა საკითხთა შორის, პენსიების (2008 წლამდე) და ხელფასების (2010 წლამდე) ობლიგაციებით დაფარვას ითვალისწინებს. **"კანონის ძალაში შესვლის შემდეგ არც ერთი სასამართლო არ მიიღებს სარჩელს საპენსიო და სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით. სახელმწიფო გადაიხდის მხოლოდ იმ დავალიანებას, რომელსაც სასამართლოში მოგებული პროცესები ითვალისწინებს. ეს არ არის დიდი ოდენობის თანხა. საუბარია სულ რაღაც 300 ათას ლარზე. ასე რომ, მთავრობა სეკვესტრს ელოდება."**

გაგრძელება A2 გვერდზე

პენსიონერები ხელისუფლებისგან პასუხს ელიან.

ბეჭი ბელაშვილის ფოტო

თეთრი ძაფით ნაკერი „შავი ვიარი„ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ფიგურა არჩევნების წინ სერიოზული თავდასხმის ობიექტად რომ იქცეოდა, პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ არც ერთ ადამიანს არ ეპარებოდა ეჭვი. მით უმეტეს მას შემდეგ, როცა თავად პრეშევარდნაძისტული (თუმცა არა მხოლოდ) ინტელიგენციის ნაწილმა მას მხარდაჭერა გამოუცხადა და სერიოზულად გაიჟღერა ბურჯანაძის შესაძლო საპრეზიდენტო ამბიციის თემამ.

მაშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიდერლანდებში გაემგზავრა და პოლიტიკური თავდასხმებიც იმ წუთში არ დაწყებულა.

თუმცა პოლიტ-ტექნოლოგიებში დახელოვნება სულაც არ იყო საჭირო იმის შესამჩნევად, რომ საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა, ფაქტობრივად სახელისუფლებო პრესამ საქართველოს მეორე პირის მიმართ იგნორირების პრინციპი აირჩია: თავის დროზე არ გააშუქა პარლამენტის თავმჯდომარის უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი ვიზიტი აშშში, შემდეგ კი გაკვრით აღნიშნა იმის თაობაზე, რომ ნიდერლანდებში საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების პირველი პირი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს და მან ვიცე-პრეზიდენტობის 6 კანდიდატისგან ყველაზე მეტი ხმის მოპოვება შეძლო.

"იგნორირებიდან" "თავდასხმამდე" დიდი დრო არ გასულა.

გასულ კვირას ანზორ ბურჯანაძის კავშირზე პურის გაძვირების თემასთან ღია მინიშნებებს აკეთებს სახელისუფლებო ბლოკი, ირაკლი გოგავას სახით, რომელიც საუბრობს დანაშაულებრივ ხელშეკრულებაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პურპროდუქტების კორპორაციას შორის, მაგრამ ვერ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას; თუმცა ვინც პიარის კანონებს იცნობს, მან კარგად იცის, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენა-ვერწარმოდგენა მთავარი აღარ არის...

გასულ კვირასვე გაზეთ "კომერსანტში" იბეჭდება ქართული გვარით ხელმოწერილი, თბილისიდან მიწოდებული მასალა, რომელიც სავსეა არა მხოლოდ ფაქტობრივი შეცდომებით, არამედ პირდაპირი შეურაცხყოფით.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამერიკის დახმარება არჩევნებზე იქნება დამოკიდებული

"24 საათის" მიმომხილველი ესაუბრება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს რიჩარდ ბაუჩერს

ზოთა უტიაშვილი
ვაშინგტონიდან

- ბოლო წლებში მსოფლიოში ორი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცვლილება მოხდა: პირველი დაკავშირებულია 2001 წლის 11 სექტემბერთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მეორე კი ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებასთან.

ამ ცვლილებებმა ერთობ გაზარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მნიშვნელობა?

- ჩვენი თანამშრომლობა ამ რეგიონთან სულ უფრო ფართოვდება. რაც უფრო განმტკიცდება დემოკრატია და კანონის უზენაესობა, გაძლიერდება კორუფციასთან ბრძოლა, დაცული იქნება ძირითადი თავისუფლებები, მით უფრო სტაბილური და ეკონომიკურად განვითარებული იქნება რეგიონი. ჩვენ მხარს ვუჭერთ როგორც ნატო-ს, ისე ევროკავშირის გაფართოებას, რადგან ეს, თავის მხრივ, განვითარებასა და სტაბილურობას უწყობს ხელს.

- აქვს თუ არა ამ გაფართოებას საზღვარი და რა პირობები უნდა შეასრულონ ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ, იმისათვის, რომ გახდნენ ხსენებული ორგანიზაციების წევრები?

- ნატო შეიძლება კანადამდეც გაფართოვდეს. გესმით, რასაც ვგულისხმობ - ამერიკიდან რომ დავიწყოთ, დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის გავლით, კანადამდე ისე მიხვალ, ვერც გაიგებ. ჩვენ არ გვინდა ეს პროცესი რითიმე შევზღუდოთ.

რაც შეეხება ევროკავშირის გაფართოებას, ეს ევროპელების საქმეა. ევროკავშირს მალე 26 წევრი ეყოლება და მათ "მოსანელებლად" ალბათ დრო დასჭირდება. რაც შეეხება ნატო-ს, მან დაამყარა ურთიერთობები კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. რა მოჰყვება ამას, ალიანსში გაწევრიანება თუ გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, მომავალი გვიჩვენებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

რიჩარდ ბაუჩერი.

"წინ არჩევნებია და ამიტომ ახლა ერთმანეთის ლანძღვით ვართ დაკავებული"

ასე ამართლებს რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი პოზიციათა სხვაობას

თამარ ხორბალაძე

გუშინ თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რუსეთის დუმის დელეგაცია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ ლუკინის ხელმძღვანელობით.

"წინ არჩევნებია და ამიტომ ახლა ერთმანეთის ლანძღვით ვართ დაკავებული. არჩევნები ჩაივლის და ნორმალურად მუშაობასაც დავიწყებთ", – ასეთი გახლდათ ლუკინის პირველი კომენტარი ქართული პრესისთვის, რომელიც მან პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ვიზიტს წინ უძღოდა რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველო უარს ამბობდა რუსეთის დელეგაციის მიღებაზე და ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, როგოზინის სოხუმში ვიზიტი და იქ გაკეთებული კომენტარები ყოფილიყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

ჰოლ ბრემერი: სადამ ჰუსეინი ცოცხალია

ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა, პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ ერაყის დამხობილი დიქტატორი ცოცხალია. მისი თქმით, რაც უფრო მალე მოკლავენ ან დააპატიმრებენ სადამ ჰუსეინს, მით უკეთესი იქნება. ასეთი მკვეთრი განცხადებები პოლ ბრემერმა აშშ-ში თავისი ვიზიტის დროს გააკეთა. ერაყის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ ის სამშობლოში პირველად ჩავიდა. ბრემერმა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სადამი ვერ შეძლებს იმ მხარდაჭერის მოპოვებას ერაყში, რაც მას ხელისუფლებაში დაბრუნებისათვის დაეხმარება. გარდა ამისა, პოლ ბრემერი ამტკიცებს, რომ ერაყის ყოფილი პრეზიდენტი ბოლო დროს ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების გახშირებულ მკვლელობებს არ ხელმძღვანელობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

ამერიკის დახმარება არჩევნებზე იქნება დამოკიდებული

პირველი გვერდიდან

ამ ორგანიზაციებში გასაწვრიანებლად ის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილო, რომელთა შესრულება მაინც მოგიწევს, თუ საკუთარი ქვეყნის განვითარებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნავ. აუცილებელია კანონის უზენაესობის განმტკიცება და მოქალაქეთათვის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალების მიცემა.

- როგორ შეაფასებდით ამერიკა-საქართველოს მომავალ ურთიერთობებს?

- გასული წლების მანძილზე საქართველოსთან ძალზე კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა.

მიგვაჩნია, რომ ჯეიმს ბეიკერისა (ყოფილი სახელმწიფო მდივანი) და ელიზაბეტ ჯონსის (სახელმწიფო მდივნის თანაშემწე) ვიზიტი თბილისში წარმატებული იყო.

მნიშვნელოვანია ის რეკომენდაციები, რომლებიც მათ შეიმუშავეს და რომლებიც შეეხება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, მათ შორის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასა და არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

ჩვენ ვეხმარებით და კვლავაც დავეხმარებით საქართველოს, ოღონდ დახმარების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად ჩაივლის არჩევნები. კარგად ჩატარებული არჩევნები მნიშვნელოვნად გაამჯობესებს ჩვენს ურთიერთობებს.

კულუარები

რამდენს მისცემს აბაშიძე „ერთობას"?

ლენა მიქაძე

ბოლო დროს, პატიაშვილი-ჭაჭიას "ერთობის" სიმპათიები აჭარისკენ გადაიხარა. საბოლოოდ, როგოც ვალერი გელბახიანი ვარაუდობს, "ერთობისა" და "აღორძინების" გაერთიანების ამბავი "საარჩევნო კანონის" მიღების შემდეგ გადაწყდება.

ინფორმირებული წყაროს განცხადებით, ჯუმბერ პატიაშვილის ასლან აბაშიძესთან შეხვედრა ამ კვირაშია დაგეგმილი, მაგრამ, ისევ საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, ახლა ასლან აბაშიძესთან, პატიაშვილზე მეტად, ჭაჭიას მიესვლება.

გარკვეული წინააღმდეგობა აბაშიძესა და პატიაშვილს შორის ჯერ კიდევ წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროიდან არსებობს. მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატად "აღორძინებამ" ეს ორი პიროვნება წარადგინა.

რაც შეეხება სიებს საპარლამენტო არჩევნებში, აჭარულ ბლოკთან ალიანსის გაფორმების შემთხვევაში, "ერთობას", დიდი დიდი, შვიდკაციანი კვოტა ერგოს. 1999 წელს ჯუმბერ პატიაშვილს "აღორძინების" ბლოკიდან ხუთკაციანი "წილი" ერგო.

მიუხედავად აჭარისკენ ლტოლვისა, პატიაშვილს კვალე რჩება "ნაციონალურ მოძრაობასთან" გაერთიანების შანსი. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ მათი **"წინადადება პატიაშვილისადმი, ბლოკში გაწევრიანების შესახებ, კვლავაც ძალაშია".** გადაწყვეტილების მისაღებად დრო პატიაშვილს აგვისტოს ბოლომდე უთხოვა. მზად არის თუ არა "ნაციონალური მოძრაობა" პატიაშვილი კვლავ ჭაჭიასთან ერთად მიიღოს? როგორც ბერძენიშვილი აცხადებს, **"ისინი პატიაშვილს ულტიმატუმის ენით არ ესაუბრებიან, მაგრამ თუ იგი მათ მოძრაობაში გაწევრიანების სურვილს გამოთქვამს, მათი პრინციპები და პოზიციები უნდა გაიზიაროს, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში".**

მოკლედ

სამტრედიელმა "ნაციონალებმა" ქალაქის ცენტრში შევარდნაძის ფიტული დაწვეს

იმერეთის ორ ქალაქში - ქუთაისსა და სამტრედიაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების წინ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები ფართომასშტაბიან აქციებს მართავენ. სამტრედიელმა "ნაციონალებმა" აქციაზე ედუარდ შევარდნაძის ფიტული დაწვეს.

დღეს ქუთაისის მერიის შენობის წინ 200-მდე, ხოლო სამტრედიის გამგეობის შენობის წინ 300-მდე ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც გაყინული პენსიების დარიგებას ითხოვენ. აღნიშნული მოთხოვნით ქუთაისში მეხუთე დღეა შიმშილობენ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები. **ინტერ-პრესი**

"ნაციონალურ მოძრაობას" "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" უპირისპირდება

პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიხეილ სააკაშვილის "ნაციონალურ მოძრაობას" ფიქტიურსა და უკანონოდ რეგისტრირებულს უწოდებს და იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე "ნაციონალთა" აქციას, იუსტიციის მინისტრის შანტაჟისა და ქვეყანაში ანარქიის გამოწვევის მცდელობად აფასებს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომელსაც გია მამალაძე ხელმძღვანელობს, სამინისტროში დაწყებულ შიმშილობას მათ მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელს უკავშირებს, რომელიც "სააკაშვილის მიერ უკანონოდ მიტაცებული მოძრაობის" რეგისტრაციის საკითხს ეხება. აღნიშნული სარჩელის მოპასუხე მხარე იუსტიციის სამინისტროა.

როგორც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, "სააკაშვილის მოშიმშილე ნაციონალები იუსტიციის მინისტრის და სხვა თანამდებობის პირთა დაშანტაჟებას გეგმავენ". მათივე აზრით, იუსტიციის სამინისტროსთან პენსიონერთა ფართო მასების მიზიდვა და არეულობა პარტიის რეგისტრაციის უკანონობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის განადგურების მიზნით იგეგმება.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებისგან პრევენციული ზომების მიღებას და მათი და სააკაშვილის პარტიის რეგისტრაციის დოკუმენტური მასალების უსაფრთხო ადგილზე გადატანას მოითხოვს.

შევარდნაძის პუტინისადმი გაგზავნილი წერილი გზაში "დაიკარგა"

კრემლში გაოცებულნი არიან საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადებით იმის თაობაზე, რომ მან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც რუსეთისგან აფხაზეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტას მოითხოვს. "ინტერ-ფაქსი", რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელზე დაყრდნობით იუწყება, რომ კრემლში შევარდნაძისგან არავითარი წერილი არ მიუღიათ.

"შესაძლოა, კონვერტზე არასწორად იყო მითითებული მისამართი, ან გზაში მარკა აძვრა, ფაქტია, რომ ჩვენ საქართველოს ხელმძღვანელობისგან არავითარი წერილი არ მიგვიღია" - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირმა.

გუშინდელ ტრადიციულ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მან აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, "პრინციპული დებულებების შემცველი წერილი" გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. **ინტერ-პრესი**

"წინ არჩევნებია და ამიტომ ახლა ერთმანეთის ლანძღვით ვართ დაკავებული"

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ასეთი წინაპირობებისა, ვიზიტი გუშინ დაიწყო და პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული დახურული შეხვედრის მთავარი თემაც სწორედ აფხაზეთის პრობლემა გახლდათ. "24 საათის" ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის პარლამენტის დელეგაციას მოსთხოვა რეაგირება ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა აფხაზეთში დაწყებული პრივატიზება, რომელსაც, მაგალითად, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს, პასპორტების დარიგების პროცესზე და ა.შ.

როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რუს პარლამენტარებთან შეხვედრისას საუბარი შეეხო აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის, დევნილთა დაბრუნების საკითხს და **"გამოითქვა მზადყოფნა, რომ გუდაუთის ბაზაზე მოხდეს ეუთო-ს ინსპექტირება, რაც საბოლოოდ დახურავს გუდაუთის ბაზის პრობლემატიკას"**. მისივე განცხადებით, ასევე გამოითქვა მზადყოფნა საქართველოსა და რუსეთს შორის ჩარჩო ხელშეკრულებაზე მუშაობის ინტენსიფიკაციაზე. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლუკინმა შეხვედრის შემდეგ არჩევნების სიახლოვეს და იმ ფაქტს გაუსვა ხაზი, რომ ახალი პარლამენტის ამოქმედებამდე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების დათბობას არ უნდა ველოდოთ.

რუსეთის პარლამენტის ვიცესპიკერი გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის მიერ გასულ კვირას მიღებულ დადგენილებას გაერო-ს წესდების მე-7 პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტს შეუძლია ნებისმიერი დადგენილება მიიღოს, მაგრამ პრობლემა უნდა გადაწყდეს არა დადგენილებით, არამედ მოლაპარაკებით.

პარლამენტსჰი ვლადიმერ ლუკინი ჟურნალისტების ტყვეობაში მოექცა.

"მშვიდობის ძალის გამოყენებით დამყარება საომარ პერიოდში მოქმედებს, ახლა საქართველოსა და აფხაზეთს შორის, ღმერთის წყალობით, საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობს, ამიტომ, მიმაჩნია, რომ მე-7 თავი არაფერ შუაშია", - განაცხადა ვლადიმერ ლუკინმა.

თუნდაც აღნიშნული კომენტარები და ზოგადი პოლიტიკური სიტუაციაც ცხადყოფს, რომ რუსეთის დელეგაციის გუშინ დაწყებული სამდღიანი ვიზიტისგან განსაკუთრებული შედეგები მოსალოდნელი არ არის, თუმცა გუშინ დაწყებული დიალოგი დღეს გაგრძელდება და გაიმართება შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ფრაქციების წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მინისტრთან, პრეზიდენტთან. დელეგაცია თბილისიდან ხვალ გაემგზავრება.

ბეიკერის გეგმა იწვრთვა

პირველი გვერდიდან

როდესაც პრეზიდენტის მიერ დანიშნულ საგანგებო სესიას სამთავრობო ფრაქციები ბოიკოტს უცხადებენ, წესით, ეს განგაშის ნიშანი უნდა იყოს. მაგრამ ქართულ პოლიტიკაში ეს "წესი" "არ მოქმედებს". მსგავსი რამ ადრეც არაერთგზის მომხდარა: კანცელარიაში ერთი დასტურს რიგგარეშე სხდომის მოწვევის გადაწყვეტილებას აწერდნენ ხელს, მეორეთი კი ე.წ. "თემატურ უმრავლესობას" ემუქრებოდნენ და მის წარმომადგენლებს ამ სხდომაზე დასწრებას უკრძალავდნენ.

ისტორია ისევ მეორდება და კვლავ ფარსად: სამთავრობო ფრაქციების "წყალობით", გუშინ კვორუმი ვერ შეგროვდა და რიგგარეშე სესიის სხდომა ჩაიშალა. ოპოზიცია ვარაუდობს, და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ეს შეგნებულად მოხდა, რადგან გუშინდელ სხდომაზე საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ უნდა ემსჯელათ და თუ მოხერხებოდა, ცესკო-ს დაკომპლექტების წესი დაემტკიცებინათ.

სამთავრობო ფრაქციებთან ერთად, პარლამენტის სხდომის ბოიკოტირებაში "მრეწველებმა" და ბათუმურ ალიანსში შემავალმა ფრაქციებმაც მიიღეს მონაწილეობა. ისინი არც მანამდე მალავდნენ, რომ ბეიკერის გეგმა გულზე მაინცადამაინც არ ეხატებათ.

გუშინ პარლამენტის დილის სხდომაზე "აღორძინების" წევრები კი გამოცხადდნენ, მაგრამ რეგისტრაცია არ გაიარეს.

"სანამ ჩვენთან კონსულტაციებს არ გამართავენ, სხდომების ბოიკოტირებას გავაგრძელებთ," - ასე განმარტა პროტესტის მოტივი სანდრო ბრეგაძემ. მისმა "არგუმენტაციამ" ბევრი გააკვირვა: ბათუმური ალიანსის წარმომადგენლებისთვის კონსულტაციებზე დასწრება არავის აუკრძალავს და ისინიც სისტემატურად მონაწილეობდნენ ინტერფრაქციული ჯგუფის შეკრებებში.

ბოიკოტის ნამდვილი მიზეზი, როგორც ჩანს, სხვაგანაა საძიებელი და ეს ვარაუდი გუშინ ფრაქცია გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ გაახმოვანა.

"მოქალაქეთა კავშირს", "მრეწველებსა" და "აღორძინებას" ხელს არ აძლევთ ბეიკერის გეგმის განხორციელება. მათ არ უნდათ, რომ "გაერთიანებულ დემოკრატებს", "ნაციონალებსა" და "ახალ მემარჯვენეებს" საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლები ჰყავდეთ. ამის გამო, ლამის საერთაშორისო დონის შეთანხმების დარღვევის ფაქტის წინაშე ვდგავართ. უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ბეიკერის მიერ შემოთავაზებულ და თითქოს ერთხმად მოწონებულ შეთანხმებას, სამთავრობო ფრაქციებთან ერთად, "აღორძინება" და "მრეწველებიც" უკეთებენ იგნორირებას," - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

გუშინ განვითარებული მოვლენების კომენტირებისგან პარლამენტის თავმჯდომარე, ჯერჯერობით, თავს იკავებს, თუმცა იმას კი აღნიშნავს, რომ იცის, **"რაც ხდება და რა დგას ყოველივე ამის უკან."** თუ ბოიკოტირების ტაქტიკა გაგრძელდება და დღევანდელი სხდომაც ჩაიშლება, მაშინ ნინო ბურჯანაძე, ალბათ, იძულებული გახდება, "რაც ხდება" ფართო საზოგადოების განსასჯელად გამოიტანოს.

"ობლიგაციები შევარდნაძემ გაიკრას კრწანისის რეზიდენციაში"

პირველი გვერდიდან

ამგვარი კანონის მიღების შემთხვევაში მთავრობა მოახერხებს დავალიანების უმნიშვნელო ნაწილის დაფარვას და აქციის მონაწილეებიც იძულებული გახდებიან, დაიშალონ. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ თუ პარლამენტმა საპენსიო და სახელფასო დავალიანების ობლიგაციებით განაღდება დააკანონა, ამან შეიძლება ახალი სახალხო მღელვარება გამოიწვიოს.

გუშინვე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ბრიფინგი გამართა: **"გუშინ საღამოს სახელმწიფო კანცელარია წავიდა დათმობაზე, პრეზიდენტმა გასცა განკარგულება, რომ რეგიონში ყველანაირი ხარჯები შეჩერდეს და დაიწყოს საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გასტუმრება. დღეს შევარდნაძემ გააკეთა განცხადება, რომ მას აქვს განკარგულებები, მექანიზმები და გრაფიკი დავალიანებების გასასტუმრებლად. ეს აშკარად უკან დახევაა, მაგრამ ჩვენ ველით ფულის ნიშნებს და არა განკარგულებებს. შევარდნაძის განკარგულებას დამშეული ადამიანი პურზე ვერ გადაუსვამს"...** სააკაშვილი დავალიანებების ფასიანი ქაღალდებით დაფარვის სასტიკი წინააღმდეგია. საკრებულოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტს ურჩევს, რომ ობლიგაციები კრწანისის რეზიდენციაში გაიკრას, შპალერის სახით!



ასეთი შინაარსის პლაკატებით აფრთხილებდნენ პენსიონერები პრეზიდენტს.

ხელისუფლება დამნაშავედ მოშიმშილეებს აცხადებს

იუსტიციის სამინისტროს შენობაში მიმდინარე "ნაციონალების" შიმშილობის აქციას, შეიძლება, კიდევ უფრო მწვავე გაგრძელება მოჰყვეს. გუშინ გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქოს, ხელისუფლება მოშიმშილეთა წინააღმდეგ სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებას აპირებს. მართალია, ამ ინფორმაციას, ოფიციალურად, არავინ ადასტურებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის რეალობას შეესაბამება, პარლამენტარ ელენე თევდორაძეს გადაწყვეტილი აქვს, აქციის მონაწილეებს შეუერთდეს.

გიორგი ასანიშვილი

გუშინ უშედეგოდ დასრულდა მცდელობა, რომ კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მომხდარიყო. დაპირისპირებული მხარეები ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგაც თავის პოზიციებზე დარჩნენ.

სხდომაზე მიწვეული ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის მინისტრი ამირან გამყრელიძე დარწმუნებულია, რომ მოშიმშილეებს წინასაარჩევნო საკითხები უფრო აღელვებთ, ვიდრე სპენსიო დავალიანების პრობლემის გადაწყვეტა. ამასთან, გამყრელიძე მიიჩნევს, რომ არსებული დავალიანების წარმოქმნა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმ ადამიანების ბრალია, ვინც დღეს აქციაში მონაწილეობს.

"მოშიმშილეები სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის დეპუტატები და სხვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები არიან. თუ მათ მართლა სურდათ ამ პრობლემის მოგვარება, სად იყვნენ ადრე, როდესაც ეს მართლაც ხელეწიფებოდათ? თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ დავალიანებები, ძირითადად, წინა წლებში, მათი მმართველობის პერიოდშია დაგროვილი. ნურავინ ცდილობს საქმის ვითარების ისე წარმოჩენას, თითქოს, საპენსიო დავალიანებების დაფარვა მთავრობასა და ხელისუფლებაზე მეტად უნდოდეს", - იქით ამუნათებს მოშიმშილეებს ჯანდაცვის მინისტრი და აცხადებს, რომ **"როგორი პრეტენზიც არ უნდა გამოითქვას, წინა წლებში დაგროვილი 89-მილიონიანი საპენსიო დავალიანების ერთ დღეში და ერთ თვეში დაფარვა შეუძლებელია".**

მოშიმშილე დეპუტატების მისამართით მწვავე განცხადებებს აკეთებს იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი. მისი თქმით, მიმდინარე აქციის გამო, მის უწყებაში მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი აღარ არსებობს. გილიგაშვილის მტკიცებით, იუსტიციის სამინისტროს შენობაში შეჭრა და იქ აქციის გამართვა ისეთი ქმედებაა, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება. **"დეპუტატებმა მიზნის მისაღწევად კანონიერი მეთოდები უნდა გამოიყენონ და იუსტიციის სამინისტროზე ზეწოლას არ უნდა მიმართონ",** - დასძენს გილიგაშვილი.

საპარლამენტო მოსმენის ასეთმა მსვლელობამ კოტე კემულარია ერთობ აღაშფოთა. მისი თქმით, მსჯელობა არასწორი მიმართულებით წარიმართა და აქცენტი საპროტესტო აქციის ფორმაზე გაკეთდა, მაშინ, როდესაც, წესით, ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო ბავშვის მტკიცებით, იუსტიციის სამინისტროს შენობაში შეჭრა და იქ აქციის გამართვა ისეთი ქმედებაა, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება. **"დეპუტატებმა მიზნის მისაღწევად კანონიერი მეთოდები უნდა გამოიყენონ და იუსტიციის სამინისტროზე ზეწოლას არ უნდა მიმართონ",** - დასძენს გილიგაშვილი.

საპარლამენტო მოსმენის ასეთმა მსვლელობამ კოტე კემულარია ერთობ აღაშფოთა. მისი თქმით, მსჯელობა არასწორი მიმართულებით წარიმართა და აქცენტი საპროტესტო აქციის ფორმაზე გაკეთდა, მაშინ, როდესაც, წესით, ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო აბაშისა და სამტრედიის რაიონების პენსიონერებისთვის დავალიანების დაფარვის გზაზე წარმოქმნილი დაბრკოლებების ძიება.

"ის, რაც აღსრულების ფურცელთან დაკავშირებით მოხდა, იურიდიული ხულიგნობა და სისხლის სამართლის დანაშაულია. ვინც ის მოიფიქრა და შეთითხნა, პასუხს აგებს", - მუქარას მუქარით პასუხობს კემულარია. მოშიმშილე თანაპარტიელებთან შეერთებას ისიც აპირებს, მანამდე კი, ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამს, იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას კითხვით მიმართავს: **"თქვენ რას აპირებთ? რა, პენსიონერებს კუთვნილი თანხები არ უნდა დაუბრუნდეთ?".**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე გუშინ ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით რუმინეთში გაემგზავრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კუთვნილი ხელფასებისა და საშვებულებო თანხების მიღების მოთხოვნით საქართველოს სხვადასხვა რაიონების განათლების მუშაკთა წარმომადგენლები სამშაბათს ფინანსთა სამინისტროსთან აქციას გამართავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ხელისუფლება არ ეთანხმება თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისთვის დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტში შემუშავებულ "ეკონომიკური განვითარების ქარტიის" ახალ პროექტს, რომლის თანახმად დსთ-ს ქვეყნებმა უნდა ჩამოაყალიბონ ერთიანი ეკონომიკური სივრცე და აწარმოონ ერთიანი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ზუგდიდი. გუშინ დილიდან გადაკეტილი იყო ფოთი-თბილისის ცენტრალური ავტომაგისტრალი. ამის მიზეზი გახდა ხობის რაიონის სოფელ ქვალონში ჯერჯერობით დაუდგენელი პირების მიერ დიდი ოდენობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გატაცება. ადგილობრივი მოსახლეობა დაკარგული საკუთრების დაბრუნებას და დამნაშავეების დაკავებას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციამ ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ქალისა და მამაკაცის გვამები აღმოაჩინა. სამართალდამცველთა განმარტებით, გარდაცვლილებს პირველადი დათვალიერებისას ძალადობის კვალი არ ეტყობოდათ. აღნიშნულის საფუძველზე, ამ ეტაპზე მათი მკვლელობის ფაქტი გამოირიცხა. კვირკველიას თქმით, ისინი, სავარაუდოდ, 4-5 დღის წინ არიან დაღუპულები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციამ დაადგინა ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში მცხოვრები, ნასამართლევი, ამჟამად ზუგდიდში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვებისათვის სოხუმის რეგიონული სამხედრო პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, 22 წლის ბაჩუკი ნადარაიას ვინაობა, რომელიც თავს დაესხა ნაყინის დამტარებელს, თბილისში მცხოვრებ 32 წლის ზაირა ბაბაევას; მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა, გააუპატურა და გასტაცა 50 ლარი. ტარდება ღონისძიებები ნადარაიას დაკავების მიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 29 წლის ხათუნა დავითაშვილი პოლიციელებმა ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დავითაშვილი თურქეთის მოქალაქის, თბილისში დროებით მცხოვრები, 39 წლის აბულკადირ კირიშჩის ბინიდან 500 ევროსა და 100 აშშ დოლარის მოპარვაში ამხილეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციელებმა, საკანცელარიო მაღაზია „კობრას" გაქურდვის ბრალდებით, სამჯერ ნასამართლევი, 34 წლის კარენ ქოჩარიანი, 22 წლის მამუკა ნასრაშვილი, 23 წლის ყაჩარ არუთინოვი და 18 წლის მალხაზ აბდოევი დააკავეს.

დაკავებულებს ბრალი ედებათ 2.500 ლარის ღირებულების საკანცელარიო ნივთების მოპარვაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ე.წ. „კანონიერი ქურდი", 23 წლის ქუთაისელი ბესიკ კუპრაშვილი პოლიციელებმა თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე 18 ივლისს ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, კუპრაშვილს ჩხრეკისას 0,46 გრ ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი" აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ასტანა. კასპიის ზღვის ყაზახეთის სექტორის ათვისების პროგრამის თანახმად, 2009 წლისათვის ყაზახეთს უნდა ჰქონდეს ახალი საექსპორტო მილსადენი მარშრუტი. როგორც ყაზახეთის ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების მინისტრი აცხადებს, ეს იქნება აქტაუ-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

მინისტრმა მიუთითა 2012 წლისათვის კიდევ ერთი საექსპორტო მარშრუტის მშენებლობის აუცილებლობაზე. შკოლნიკის თქმით, ამ მომენტში ყველაზე სავარაუდოა ჩინეთისა და სამხრეთის - ირანის მიმართულება. ამჟამად ყაზახეთში საექსპორტო მილსადენების საერთო სიმძლავრე წელიწადში 310 მილიონ ბარელ ნავთობს შეადგენს, ხოლო გაზსადენის - 5 მილიარდ კუბურ მეტრს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შეუწყდება თუ არა თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ამ დროისთვის "თბილგაზს" "იტერასთვის" ივნისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური ჯერ კიდევ არ გადაურიცხავს. "იტერამ" სამი დღის წინ "თბილგაზის" მიმართ სადამსჯელო ღონისძიება გაატარა და ბუნებრივი აირის მოცულობა გაანახევრა. მიუხედავად ამისა, "თბილგაზის" გენერალურ დირექტორს, ვახტანგ ცაავას იმედი აქვს, რომ თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება არ შეუწყდება.

"თბილგაზს" ივნისში, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის სახით, 708 ათასი დოლარი აქვს გადასახდელი. ამჟამად თბილისს 300 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად, დღე-ღამეში 150 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოეწოდება, თუმცა შექმნილ დანაკლისს "თბილგაზს" გაზის საერთაშორისო კორპორაცია უვსებს. ამასთან, კორპორაციაში აცხადებენ, რომ ეს დროებითი ღონისძიებაა, რადგან დანაკლისის შესავსებად საჭირო მარაგი მათ, შესაძლოა, რამდენიმე დღეში ამოეწუროთ. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

კონტრაბანდას ყველა ებრძვის" პასუხს არავინ აგებს

(წერილი მეხუთე)

დასაწყისი NN 189, 190, 192, 197

ზურაბ ბარაყანიძე

დღევანდელ პირობებში კონტრაბანდის მაქსიმალურად აღკვეთისათვის აუცილებელია ეკონომიკური მეთოდების გამოყენება. პრაქტიკულად, იმპორტიორს არ უნდა დაებადოს აზრი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ე.წ. "მარცხენა" გზებით ტვირთის შემოტანის შესახებ. შესაბამისად, ოფიციალური სახელმწიფო გადასახადების ჯამი უამრავი მაკონტროლებლის მოქრთამვისათვის საჭირო თანხის სიდიდეზე მეტი არ უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აირჩევს იგი ბიზნესის ლეგალურ გზას.

ერთ-ერთ ასეთ უმთავრეს ღონისძიებად მიგვაჩნია ნავთობპროდუქტების იმპორტზე დღგ-ს (20 პროცენტი) დატოვება საბაჟო ღირებულების მიმართ, აქციზის 50 ლარამდე შემცირება (ყველა სახის ნავთობპროდუქტზე) და შიდა საცალო ბაზარზე დასაბეგრი ტარიფების შესაბამისად გაზრდა მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადის საშუალებით, როგორც ეს უმრავლეს ცივილიზებულ ქვეყანაშია მიღებული. მისი გადახდა, როგორც წინათ, საცალო ვაჭრობის ქსელში უნდა მოხდეს. მით უმეტეს, რომ ამჟამად ამ გადასახადის ადმინისტრირება ქვეყნის შიდა სივრცეში (დროებით დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში) უფრო გაადვილდება, ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიურო.

ამ ღონისძიების გატარებით, ფაქტობრივად, აზრს დაკარგავს და შეწყდება კონტრაბანდული საწვავის შემოტანა, ვინაიდან კონტრაბანდისტის მიერ გაწეული რისკი ეკონომიკური ინტერესის არაეკვივალენტური იქნება. ასევე, გარკვეულწილად, ეს ხელს შეუწყობს კორუფციის ზოგიერთი ფორმის აღმოფხვრას და, რაც მთავარია, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდას.

შემცირებული გადასახადის შემოღების შემთხვევაში 2000 წელს, თუ საბაზისოდ ავიღებთ 1998 წლის აღრიცხულ რაოდენობას, სამი ძირითადი სახეობის ნავთობპროდუქტზე, საბაჟო შემოსავლების სახით, სახელმწიფო, სავარაუდოდ, 16,5 მილიონ აშშ დოლარს მიიღებდა - ანუ 44 პროცენტით მეტს, ვიდრე მიიღო 2000 წელს; ერთი ლიტრი იმპორტული საწვავის ფასი კი შემცირდებოდა 25 პროცენტით.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი არაორდინალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საგადასახადო განაკვეთების შემცირება აუცილებელია. კერძოდ, **სახელმწიფო სასაზღვრო და საბაჟო უწყებები ვერ აკონტროლებენ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის საკმაოდ დიდ მონაკვეთებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე. მწირი ფინანსური შესაძლებლობების გამო, სუსტია კონტროლი რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან არსებულ სასაზღვრო ზონებში, რის გამოც, უამრავი კონტრაბანდული საწვავი შემოდის დაუცველი გზებიდან.**

მხოლოდ ადმინისტრირების გამკაცრებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდება ქვეყანაში კონტრაბანდული საწვავის შემოდინების ბლოკირება. **იმ უწყებებისა და სამინისტროების მოხელეებს, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობაა კონტრაბანდის გამოვლენა და აღკვეთა, დაბალი ხელფასები აქვთ; ამიტომ, საზღვარზე კონტრაბანდული საქონლის გატარება და ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება მათთვის თავიდან არსებობის, ხოლო შემდგომში კი უკვე ფუფუნებით ცხოვრების ერთადერთი წყაროა. ვინაიდან დღეს ხელფასების გაზრდის საშუალება რეალურად არ არსებობს, ერთადერთ გზად უნდა მივიჩნიოთ იმპორტზე გადასახადების მკვეთრად შემცირება, რომ იმპორტიორმა რისკი აღარ გასწიოს და დანაშაულებრივად არ დაუკავშირდეს მაკონტროლებელი ორგანოს მოხელეს.**

უშიშროების სამინისტროს ოპერაცია - "სკოგ"

პირველი გვერდიდან



ნიკა ლალიაშვილი ნავთობპროდუქტების კონტრაბანდისტებს შავ დღეს ჰპირდება

გიორგი გაბუნიას ფოტო

"სკოგ"-ის თანახმად, სადღეღამისო ოპერატიულ კონტროლს დაექვემდებარება როგორც ქვეყნის სახმელეთო საზღვრები, ასევე პორტებში და აეროპორტებში არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტები; შემოწმდება ბენზინგასამართი სადგურები, აღურიცხავი ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისა და საბითუმო მიწოდების აღსაკვეთად კი საგზაო მაგისტრალებსა და ე.წ. "შემოვლით გზებზე" დაწესდება ავტომანქანების მუდმივი კონტროლი.

გატარდება ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები ნავთობპროდუქტების ფიქციური ექსპორტის, ტრანზიტისა და რეექსპორტის ოპერაციების აღსაკვეთად და იმ პირთა გამოსავლენად, ვინც ბიუჯეტს თანხებს საბაჟო დეკლარაციების გაყალბებით პარავს.

გარდა ამისა, "სკოგ"-ის გეგმა ფალსიფიცირებული ნავთობპროდუქტებით ვაჭრობისა და ამ პროდუქციის უკანონოდ წარმოების აღკვეთასაც ითვალისწინებს. ამ მიზნით, საგანგებოდ შექმნილი ჯგუფები სარეალიზაციო ქსელში არსებული საწვავის ხარისხს გააკონტროლებენ. კონტროლს დაექვემდებარება საწვავის რაოდენობისა და ღირებულების შესაბამისობა სათანადო დოკუმენტაციასთან.

ლალიაშვილის განცხადებით, "სკოგ"-ის განხორციელებისას არც ავტოგასამართი სადგურების ბენზინისაცავების, მადოზირებელი და მრიცხველი მოწყობილობების დალუქვაა გამორიცხული.

და ბოლოს: გაკონტროლდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენების უსაფრთხო ფუნქციონირება, რათა გამოირიცხოს ნედლი ნავთობის ქურდობისა და მისი გამოყენებით აღურიცხავი პროდუქციის დამზადება-რეალიზების ფაქტები.

"სკოგ-ის გეგმა, ფინანსთა სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტის, საგანგებო ლეგიონისა და ძალოვანი უწყებების შესაბამის დანაყოფებთან კოორდინირებული ურთიერთქმედებით, სრულიად გამჭვირვალედ განხორციელდება," - დასძინა ნიკა ლალიაშვილმა.

ნიკა ლომინაძის მკვლელობა

როგორ იძიებენ მილიონების გაქრობის საქმეს და რა მოხდა სინამდვილეში

პირველი გვერდიდან

გორგი გვიჩიანი: "რიცხვი არ მახსოვს, შემთხვევით შევხვდი ლუკა ნინოშვილს."

ამ აფიორის ფაბულა, რომელშიც, ნესბით თუ უნებლიედ, ჩართულნი აღმოჩნდნენ "AES თელასი", რუსეთის ჯარების შტაბი, თბილსრესი და ორი კერძო ფირმა - "იბერია პრაიმ კაპიტალი" და "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენი" - და რომლის შედეგადაც დაიკარგა 2,5 მილიონი ლარი, "24 საათის" წინა ნომერში უკვე შემოგთავაზეთ. თუმცა, ცხადია, ამ მაქინაციის განხორციელებაში კონკრეტულმა ადამიანებმა - ზოგმა შეგნებულად, ზოგმაც, შესაძლოა, უნებურად - შეიტანეს წვლილი. თითოეული მათგანი მომხდარს საკუთარ ინტერპრეტენციას აძლევს და თავის გასამართლებელი არგუმენტებიც უხვადაც მოეძებნებათ.

თავდაპირველად მოქმედი პირნი გავიცნოთ, ისინი, ვინც საქმეში ოფიციალურად ფიგურირებენ: რუსეთის ჯარების მხრიდან – შტაბის საბინაო ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი სერგეი პისკუნოვი და რუსეთის ჯარების სარდლის თანაშემწე მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში ალექსანდრ შიროკი; "AES თელასის" წარმომადგენელი – ამჟამად სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებული, "AES თელასის" კომერციული დირექტორის მოადგილე გიორგი გვიჩიანი; თბილსრესიდან - ფინანსური დირექტორი ნოდარ ბულბულაშვილი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ამჟამად პატიმრობაში მყოფნი, "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენისა" და "იბერია პრაიმ კაპიტალის" დირექტორები მირიან ცხვარაძე და გელა ჭონიაშვილი.

ამ საქმეში ყველა მათგანი სხვადასხვა მოტივაციით ჩაერთო.

მოკლედ, დავიწყოთ: დგას 2001 წლის ივნისი. თბილსრესს გაუჭირდა.

"ყოველ წელიწადს შემოდგომა-ზამთრის მზადებისთვის გვესაჭიროება გარკვეული თანხები, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თბილსრესის აწ უკვე ყოფილმა ფინანსურმა დირექტორმა ნოდარ ბულბულაშვილმა, - **ახლაც ასე მოხდა და დებიტორს მივმართეთ. ჩვენი დებიტორი ადრე იყო საქენერგო, შემდეგში გახდა ენერგობაზარი. როგორც წესი, სწორედ მათ ვთხოვთ ხოლმე ჩვენს კუთვნილ თანხებს. ამჯერადაც წერილით მივმართეთ ბაზარს, რომ 5 მილიონი ლარი გამოეყო თბილსრესის სარემონტო და სამეურნეო ხარჯებისთვის. მაშინ ბაზარს არ აღმოაჩნდა შესაბამისი თანხები და წერილით მიმართა "AES თელასს", როგორც თავის დებიტორს, რომ ჩვენთან ხუთ მილიონზე ანგარიშსწორება მათ ეწარმოებინათ. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი ვალის ჩათვლა მოხდებოდა. თელასის ფინანსური მდგომარეობისა მე არაფერი ვიცი, მაგრამ მაშინ იქიდან წერილი მოგვივიდა, რომ არ ჰქონდათ მოთხოვნილი თანხის გადახდის საშუალება და თუ ჩვენ თანახმა ვიყავით, შეეძლოთ მივემაგრებინეთ რუსეთის ჯარებზე, რომელიც ნაცვლად ხუთი მილიონისა, ჯერჯერობით, ორმილიონ ნახევარზე აწარმოებდა ანგარიშსწორებას."** თბილსრესი ამ წინადადებას დათანხმდა.

საიდან ჩნდება ვალების ჯაჭვში რუსეთის ჯარები, ამის თაობაზე საგულისხმო ინფორმაციას გიორგი გვიჩიანის ჩვენება იძლევა, რომელიც გამოძიებამ მას მოწმის სახით დაკითხვისას ჩამოართვა:

"2000-2001 წლების გაზაფხულის პერიოდში "AES თელასს" ჰქონდა დაგროვილი საბითუმო ბაზრის ვალები... 2001 წლის მარტში მაიკლ სქოულმა და რობერტ მილმა(თელასის მაშინდელი ფინანსური დირექტორი) დამავალეს, განმეხორციელებინა ბაზართან ჩათვლები, რათა თავიდან აგვეცილებინა ნაღდი ფულის შეკვეთა სათაო ოფისისთვის. ამ პერიოდისთვის "AES თელასში" იყო ბაზრის მოთხოვნა ჩათვლების განხორციელებაზე, რაზეც უარი გვქონდა ნათქვამი. დავალების შემდეგ კი დავიწყე შემოთავაზებული წინადადებების განხილვა და ავტომატურად ჩათვლა. მსხვილი ჩათვლები განხორციელდა ლტოლვილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯებზე, თბილწყალკანალის დავალიანებაზე, საავიაციო ქარხანაზე და ასევე სხვა თანხებზე. დეტალურად არ მახსოვს. აღნიშნული ჩათვლების განხორციელების შემდეგ ბაზართან თელასს დარჩა 2,5 მილიონი ვალი."

გვიჩიანის ჩვენების გაგრძელება შესაძლოა ფელეტონის მსგავს ნაამბობად მოგეჩვენოთ იმის თაობაზე, თუ როგორ აწარმოებენ ქართულ და არა მარტო ქართულ საქმიან წრეებში ფინანსურ გარიგებებს, როგორ შეიძლება რამდენიმე მილიონის ბედი დამოკიდებული იყოს ქუჩაში შემთხვევით ნანახი კაცის წინადადებაზე, უცნობი პიროვნების დანაპირებსა თუ ყურმოკრულ შეთანხმებებზე: **"რიცხვი არ მახსოვს, შემთხვევით შევხვდი ლუკა ნინოშვილს - საბითუმო ბაზრის დირექტორის მოადგილეს, რომელმაც მითხრა, რომ ჩათვლა განგვეხორციელებინა რუსეთის ჯარებთან ამიერკავკასიაში 2,5 მილიონ ლარზე,** - უამბო გიორგი გვიჩიანმა გამოძიებას, - **მე ვუთხარი, რომ ხელმძღვანელობას შევუთანხმდებოდი. შემოთავაზებულ წინადადებაზე შევუთანხმდი მაიკლ სქოულს, მივიღე მისი თანხმობა, რის შესახებაც ვაცნობე ლუკა ნინოშვილს. 2001 წლის 21 ივნისს საბითუმო ბაზრიდან მივიღე ნინოშვილის ხელმოწერით წერილი, რომლითაც საბითუმო ბაზარი გვთხოვდა ჩვენი დავალიანებიდან გადაგვერიცხა 5 მილიონი ლარი "თბილსრესისთვის", წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში. რადგანაც წერილში არ იყო დაფიქსირებული რუსეთის ჯარები, მე დავუკავშირდი ლუკას, რათა გამერკვია აღნიშნული საკითხი. მან მიპასუხა, რომ, რადგან ჩვენ ვიყავით აღნიშნული ჩათვლით დაინტერესებულნი, ჩვენგან წასულიყო ინიციატივა. რადგან ჩვენ მართლა ვიყავით დაინტერესებულნი ძალიან ამ საკითხით, ამიტომ 2001 წლის 27 ივნისს მე მივწერე წერილი "თბილსრესს", რუსეთის ჯარებს და საბითუმო ბაზარს, სადაც განვაცხადე თანხმობა თელასის სახელით განგვეხორციელებინა ჩათვლა 2,5 მილიონ ლარზე რუსეთის ჯარებთან მიმართებაში, რათა ამ უკანასკნელს ეწარმოებინა ანგარიშსწორება "თბილსრესთან". ამ დროს თელასს არ ჰქონდა მოლაპარაკება და შეთანხმება არც "თბილსრესთან", არც რუსეთის ჯარებთან. მე ვიცოდი მხოლოდ ლუკასგან, რომ აღნიშნული ორგანიზაციები თანახმა იყვნენ ჩათვლის განხორციელებაზე. ამ დროისთვის რუსეთის ჯარებს დაქვემდებარებულ ობიექტებს ჰქონდა თელასის დავალიანება – დაახლოებით 950 ათასი ლარი."**

ამ ჩვენების ნამდვილობას, გამოძიების მტკიცებით, ვერავინ დაადასტურებს, რადგანაც ერთადერთი მოწმე – ლუკა ნინოშვილი გარდაცვლილი გახლავთ.

თუ გვიჩიანს დავუჯერებთ, 28 ივნისს ჩათვლა ისე განხორციელდა, რომ "AES თელასს" არანაირი კონტაქტი არ ჰქონია არც თბილსრესთან, არც რუსეთის ჯარების წარმომადგენლებთან. ამასთან, ამ ჩათვლით არათუ მხოლოდ რუსეთის ჯარების ვალი დაიფარა, არამედ მათ კრედიტის სახით ბარათზე დაუჯდათ 1 550 581 ლარი. ეს მოხდა რუსეთის ჯარებიდან მიღებული 2001 წლის 27 ივნისით დათარიღებული წერილის საფუძველზე. ისე რომ, რუსეთის ჯარებისგან თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოუთხოვიათ. თელასმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნულის საფუძველზე ბაზრისთვის თანხა აღარ უნდა გადაეხადა, საკუთარი ვალები კი დაბალანსებულად ჩათვალა. უფროს სწორად, ჩათვალა არა თელასმა, არამედ კომერციული დირექტორის მოადგილემ გიორგი გვიჩიანმა, სწორედ მის მიერ ბუღალტერიისთვის 27 ივნისს მიწერილი წერილის საფუძველზე განხორციელდა ჩათვლა. ამ ჩათვლის პარალელურად, თბილსრესსაც უნდა შეემცირებინა ენერგობაზრისთვის იგივე თანხის დავალიანება. მაგრამ... თბილსრესმა ჩათვლა არ გაატარა. გიორგი გვიჩიანის თქმით, მან ამის თაობაზე 2002 წლის თებერვალში, ნიკა ლომინაძისგან შეიტყო.

"2002 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ნიკა ლომინაძემ, მთ. ბუღალტერმა მედეა ნადიმაშვილმა და ფინანსისტმა მიშა წულუკიძემ შემატყობინეს, რომ საბითუმო ბაზარი 2,5 მილიონ ლარს გადახდილად არ გვითვლის. აღნიშნულის გამო შევხდი ბაზრის ბუღალტერს ხათუნას, რომელმაც განმიმარტა, რომ ვინაიდან ბაზარს არ ჰქონდა თბილსრესის დასტური აღნიშნულ ჩათვლაზე, ამიტომაც არ გვიტარებდნენ ამ თანხას გადახდილად. ამის შემდეგ შევხვდი თბილსრესის ფინანსურ დირექტორს ნოდარ ბულბულაშვილს, რომელმაც განმიმარტა, რომ რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობა მას არ იღებდა მოსალაპარაკებლად თანხის გადახდის შესახებ. და ვინაიდან რუსეთის ჯარები მას არ უხდიდა ამ თანხას, იგი დასტურის წერილს არ წერდა," - წერს გიორგი გვიჩიანი ჩვენებაში.

გვიჩიანის თქმით, ამის შემდეგ მან ორჯერ მისწერა რუსეთის ჯარების შტაბს გამაფრთხილებელი წერილი, რომ სასწრაფოდ ეწარმოებინათ ანგარიშსწორება თბილსრესთან, თორემ ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტდნენ. არც ერთ გაფრთხილებას რუსების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. მაშინ, 2002 წლის მარტის ბოლოს, მათ მართლაც შეუწყვიტეს ელექტროენერგიის მიწოდება.

"ელენერგიის შეწყვეტის მეორე დღესვე მე ტელეფონით დამიკავშირდა მათი წარმომადგენელი, ზუსტად ვინაობა არ მახსოვს და მთხოვა, შეხვედრა მოსალაპარაკებლად. მე და ბულბულაშვილი მივედით მოლაპარაკებაზე. ჯარების მხრიდან მონაწილეობდნენ შიროკი, პისკუნოვი და ვიღაც მესამე. მე ვუთხარი, რომ თელასმა შეასრულა თავისი პირობები, კერძოდ, გადახდილად ჩავუთვალეთ 2,5 მილიონი ლარი, მათ კი პირობა არ შეასრულეს და ანგარიშსწორება არ აწარმოეს თბილსრესთან. პისკუნოვს და შიროკის გაუკვირდათ," - წერს გვიჩიანი ჩვენებაში.

რამ გამოიწვია რუსეთის ჯარების წარმომადგენლების გაკვირვება, როგორ გამოჩნდა პირველად ყალბად მონათლული წერილები და როგორ შეიტყო მათ შესახებ ნიკა ლომინაძემ, წაიკითხავთ მომდევნო ნომერში.

თეთრი ძაფით ნაკერი „შავი პიარი„ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

უკვე მეორე დღეს აღნიშნული მასალის სრული ვერსია იშვიათი სინქრონულობით ჩნდება ქართული დ რუსული სახელისუფლებო გაზეთების პირველ გვერდებზე და მიუხედავად იმისა, რომ მათი რეიტინგი საზოგადოებრივი აზრის შექმნის თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებს, საგულისხმოა თავად ის, რომ სახეზეა სახელისუფლებო თანხმობა (გნებავთ დაკვეთა დაარქვით) - დაწყებულია თავდასხმა ნინო ბურჯანაძეზე.

და, აი, აქ, პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც კარგად იცნობს სახელისუფლებო სამზარეულოს, პირდაპირ მინიშნებას აკეთებს შესაძლო დაკვეთის არსებობაზე და უკავშირდება გაზეთების რედაქტორებს, რაც, მიუხედავად იმისა, რა ტონით და რა მიზნით გაკეთდა ეს ზარები, უდაოდ შეცდომა გახლდათ. კარგმა "პიარშიკმა" იცის, რომ თუნდაც ყოვლად უწყინარი ზარი, სიტუაციაში გარკვევის ადამიანური სურვილით განპირობებული, ამ შემთხვევაში შეიძლება მაკომპრომეტირებლად გადაიქცეს, რის ამუშავებასაც მეორე დღესვე შეეცადა ხელისუფლება, უკვე თავად პრეზიდენტის პრეს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლის ბონდო მძინარიშვილის სახით, რომელიც ყველა დაწერილი და დაუწერელი კანონის მიხედვით, პრეზიდენტის პოზიციის უშუალო გამხმოვანებელია, რამდენადაც არ უნდა ირწმუნებოდეს საწინააღმდეგოს. იგივე ქართული სახელისუფლებო გაზეთის იგივე პირველ გვერდზე (!) ამჯერად ჩნდება წერილი, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძეს, ფაქტობრივად, ე.წ. მეორე პირად, ირონიულ და შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებს. წერილში პირდაპირი მინიშნებაა გაკეთებული რედაქტორებთან საუბარში "ბურჯანაძის არადეკლიკატური ტონისა და მოჭარბებული ემოციის თაობაზე".

ამას მესამე დღეს იგივე გაზეთის იგივე პირველ გვერდზე უკვე რედაქტორის წერილი მოსდევს, თუმცა გაზეთის რედაქტორის პოზიცია თავად პრეზიდენტის პრეს-მდივნის ქცევასა და სიტყვასთან რაღა მოსატანია.

ორშაბათს, ანუ გუშინ, სიტუაციაში ერთვება საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც, ფაქტობრივად, აგრძელებს გასულ კვირას დაწყებულ კამპანიას და უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ პრესისადმი გამოთქმულ მუქარაზე საუბრობს:

"პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს არ ეკადრება პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის მისამართით ხელის გაშვერა... მე ვიქნები სრულიად კატეგორიული, როდესაც საკითხი ჟურნალისტისადმი მიუღებელ მუქარას ეხება. ჟურნალისტისადმი მუქარა, რომლისთვისაც მე არასოდეს მიმიმართავს, აღმაშფოთებელია ნებისმიერი თანამდებობის პირისგან," – ამბობს ედუარდ შევარდნაძე, რითიც კიდევ უფრო აშკარას ხდის, რომ "ნებართვა გაცემულია".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც ეს მესიჯი სწორედ ასე აღიქვა. გუშინ, მართალია, პრეზიდენტის გამოსვლის გამო მხოლოდ "გაოცება" გამოხატა, თუმცა თავადაც საკმაოდ მკვეთრი მესიჯი "გაუგზავნა" ხელისუფლებას:

"მიუღებელი მეთოდების გამოყენებას არ ვაპირებ, მაგრამ არ ვაპირებ არც დამარცხებას ამ ბრძოლაში. ბურჯანაძის გვარს ვინც ახსენებს, კარგად მოიძიოს, რა გვარებია პურის ბიზნესში, ნავთობის ბიზნესში. მე პასუხისმგებელი ვარ ჩემს ოჯახზე. პრეზიდენტის პრეს-მდივნის პოზიცია ისევე გახლავთ პრეზიდენტის პოზიცია, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის პრეს-მდივნის პოზიცია – ნინო ბურჯანაძის. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა მე - ნინო ბურჯანაძეს მიცდია შემელახა თქვენი – ჟურნალისტების უფლებები".

ერთი ცხადია: თავის მართლებას ამ შემთხვევაში არავითარი აზრი არა აქვს – ესეც პიარის კანონია. ცხადია ისიც, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, თუმცა... საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში აშკარად დაიღალა პიარის ზემოქმედების ქვეშ ყოფნისაგან, უკვე ნაწილობრივ ისწავლა კიდეც "თეთრის" და "შავის" ამოცნობა, რამაც, შესაძლოა, "შავი პიარის" დღევანდელ და მომავალ ავტორებს საკუთარი "ნაღვაწი" ბუმერანგივით უკან შემოუბრუნოს.

ერაყში დამოუკიდებელი გაზეთი ჰოპულარობით სარგებლობს

ვისაც სადამის შემდგომი ერაყის ამბების შეტყობა სურს, "ქუჩის გაზეთი" უნდა იყიდოს. გაზეთი ძალიან პოპულარულია, რადგან, გამომცემლების მტკიცებით, სწორედ იმას ბეჭდავენ, რაც ერაყელებს ნამდვილად სურთ.

ერაყის საგამომცემლო ინდუსტრია, რომელსაც ადრე ჰუსეინი მკაცრად აკონტროლებდა, ახლა სწრაფად ვითარდება. დღეს დედაქალაქში ყოველდღიურად, სულ ცოტა, ცხრა გაზეთი გამოიცემა.

თუმცა, "ქუჩის გაზეთმა", რომლის რედაქციაში მხოლოდ ორი კაცი მუშაობს, ყველას აჯობა, რადგან ძალიან იაფია და სავსეა კრიტიკული განწყობის მქონე სტატიებით. მკითხველთა თქმით, ეს გაზეთი, ამერიკელთა ოკუპაციის პირობებში, მათ რეალურ შეხედულებებს გამოხატავს.

გაზეთი ბაღდადის ცენტრალურ საადუნის ქუჩაზე ხელით დამტარებლების მეშვეობით ვრცელდება. გაზეთის მთავარი რედაქტორი, ალი ალ-ამმარი ერაყის არმიაში კალიგრაფად მუშაობდა. მან გაზეთის გამოშვება სადამ ჰუსეინის დამხობის დღეს - 9 აპრილსვე დაიწყო. თავდაპირველად რამდენიმე ნომერი ხელით დაიწერა. ახლა კი გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი 6 000-ია.

"ჩვენ იმიტომ ვართ პოპულარულები, რომ ერაყელების სატკივარს გამოვხატავთ. ჩვენ სიმართლეს ვბეჭდავთ", - განაცხადა ამშარიმ საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ჟურნალისტთან საუბრისას.

ერაყში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს გაზეთი გამოქვეყნებული სადამ ჰუსეინის კარიკატურა, სადაც ყოფილი პრეზიდენტი სიგარით ხელში არის გამოხატული, ხოლო ქვემოთ წარწერა აქვს, რომ სადამი არც მკვდარია და არც არსად წასულა: სადამს ამერიკელები მფარველობენ და ის ერაყში ცხოვრობს. "მხოლოდ ერაყელი ხალხია მკვდარი და წასული", - ასე მთავრდება წარწერა.

"ქუჩის გაზეთში" პოეზიის კუთხე არსებობს; იბეჭდება რედაქტორისათვის გაგზავნილი წერილები და ნეკროლოგები.

ამშარი თავის ყოველ სარედაქციო სტატიას კარიკატურას ურთავს. უკანასკნელ ნომერში ერაყელი კოლაბორაციონისტია ნაჩვენები, რომელიც ამერიკელი ჯარისკაცის დაძახებაზე ძაღლივით ხტუნავს.

"ეს გაზეთი საუკეთესოა, რადგან აქ ტყუილები არ წერია - თუ რა კარგები არიან ამერიკელები. ამას გარდა, სხვა გაზეთები ძვირიცაა", - ამბობს ამჟამად უმუშევარი მშენებელი ჰუსეინ ალი.

ხშირად "ქუჩის გაზეთის" მკითხველებს შორის გაცხარებული დისკუსია იმართება. ისინი წერილებს უგზავნიან რედაქტორს და ერთმანეთს ეპაექრებიან. ამშარის თქმით, იგი ბევრ იდეას სწორედ თავისივე მკითხველებისაგან იღებს.

"ქუჩის გაზეთი" გულის მოხების საშუალებას გვაძლევს. ეს გაზეთი სადამის შემდგომ ერაყში ერთ-ერთი საუკეთესო რამაა", - აღნიშნავს ტაქსის მძღოლი, საადი ჰიტალი.

კიდევ ერთი გატაცება ქუთაისში

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ქუთაისში კიდევ ერთი გატაცების ფაქტი აღინიშნა - ბაგრატიონის ქუჩიდან 22 წლის დათო გოგაძე გაიტაცეს. გოგაძე ქუთაისის ეკოპოლიციაში მუშაობს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, საღამოს შვიდ საათზე მისი მანქანა 4-მა ნიღბიანმა ბოროტმოქმედმა გააჩერა, გოგაძე ავტომობილიდან გადმოიყვანეს და სასტიკად სცემეს. შემდეგ თავიანთ მანქანაში ჩასვეს და გაიტაცეს. სამართალდამცავები გატაცების მიზეზად გოგაძის მამის ბიზნესს ასახელებენ. იგი ტყავის ბინზესითაა დაკავებული და ქუთაისში შეძლებულ ადამიანადაა ცნობილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წელს გოგაძეების ოჯახი რამდენჯერმე დაყაჩაღეს. ჯერჯერობით არ არსებობს ინფორმაცია, გამოვიდნენ თუ არა გამტაცებლები კავშირზე. ოჯახის წევრები ჟურნალისტებთან ურთიერთობას ერიდებიან, სამართალდამცავები კი მხოლოდ ფაქტის კონსტატირებას ახდენენ.

მონიტორინგი

მთავრობამ ჰედაგოგების ხელფასების დარიგება დაიწყო

ხაზინამ, როგორც იქნა, დაიწყო პედაგოგების საშვებულებო თანხების გამოყოფა.

18 ივლისისათვის დასრულდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის კვების ხარჯების დაფინანსება.

გაგრძელდა ივნისის თვის ხელფასების გამოყოფა.

5 მილიონი ლარი გადაირიცხა საგარეო ვალდებულებების დასაფინანსებლად.

თუმცა, სერიოზული გარღვევაა სოციალური ფონდის ტრანსფერში და წინა კვირას ერთი თეთრიც არ გადარიცხულა. სამაგიეროდ, ენერგეტიკის და სახელმწიფო ტელევიზიის სუბსიდირებაზე 450 ათასი ლარი დაიხარჯა, ასევე, სხვადასხვა მომსახურებაზე - 949 ათასი ლარი.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

2003 წლის 14-18 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

N	დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
1	საგარეო ვალდებულებები	5,000.0
	ს.ს. „ქართული ნავთი" – თერგნავთის ყველა სანავთობე შპრვდებული საშუალოს დაფინანსების ანგარიშებს	3,000.0
	ს.ს. „ენერგოპრო" – თერგნავთის ყველა სანავთობე შპრვდებული საშუალოს დაფინანსების ანგარიშებს	2,000.0
2	საბიუჯეტო ორგანიზაციების ტრანსფერების ანგარიშებზე	4,796.5
	სახელმწიფო ბაჟის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯები	97.9
	რეგიონში განლაგებული საქმისწარმოების დეპარტამენტები	399.0
	უმაღლესი სასამართლო	21.5
	საერთო სასამართლოები და მათ შორის სასამართლო	299.0
	უმაღლესი საბჭო-დეპარტამენტი	2,452.1
	სხვა	1,900.0
3	საბიუჯეტო ორგანიზაციების ტრანსფერების ანგარიშებზე	1,135.2
	ეკონომიკის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციები	4.0
	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტრო	2.2
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	338.0
	თავდაცვის სამინისტრო	500.0
	ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზაციები	4.0
	იუსტიციის სამინისტრო	210.8
	განათლების სამინისტრო	69.0
4	სხვა საქონელი და მომსახურება	949.0
	სამინისტროს აპარატის სამინისტრო	16.7
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	107.9
	საქართველოს ოკუპირებული და სეპარატის სამინისტრო	49.0
	თავდაცვის სამინისტრო	499.0
	განათლების სამინისტრო	94.5
	ინფორმაციის პრესა ტრანსპორტი და საფოსტო მომსახურების სამინისტრო	15.0
	იუსტიციის სამინისტრო	89.9
	განათლების საქმისწარმოების ინსტიტუტი	2.4
	სამინისტროსამართლო ცენტრი	14.5
	საერთო ინტერესები და საქმეთა სასამართლო	120.5
5	სამინისტრის სამინისტროებისა და ფონდების ტრანსფერები	210.0
	განათლების სამინისტროსათვის	200.0
	პროექტები სარეზერვო	10.0
6	სამინისტროები სარეზერვო	1.5
	ეკონომიკის პროექტები	1.5
7	ლიცენზიები და განაცხადების სამინისტრო	1,164.9
	ეკონომიკის სარეზერვო	500.0
	ლიცენზიები შესახებ სარეზერვო	231.0
	ლიცენზიები ეროვნული ბანკისთვის	30.0
	ლიცენზიები მიერ მომსახურების ადმინისტრირების ეროვნული ბანკის	403.9
8	სუბსიდიები	450.0
	საინფორმაციო სამინისტრო	250.0
	საქართველოს ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სუბსიდია	200.0
9	აქციონერულ რეგიონში და ამონაგების წესით ჩამოსული თანხები	290.9
	ეროვნული საბანკო ცალკეულებებზე	251.5
	საბანკოდან ეროვნული	39.4

პროექტი დასრულდა, პროცესი უნდა გაგრძელდეს

მაკა ჯაიანი

ეს სიტყვები გუშინ წარმოთქვა, დღეს უკვე ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტად წოდებულ, ყოფილ ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ვასილ ჭეიშვილმა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის "საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის" საზეიმო დახურვაზე. ამ აზრს იზიარებდნენ პროექტის უცხოელი და ქართველი მონაწილეებიც. მეტიც, უახლოეს მომავალში საერთაშორისო ორგანიზაციები მის გაგრძელებას მსხვილი ასიგნებებით დააფინანსებენ.

ასო ბასილაიას ფოტო

"საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი" დახურულად გამოცხადდა.

ესენი გახლავთ: დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, რომელიც ახალი პროექტისთვის 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოჰყოფს, მსოფლიო ბანკი – მისი წილი 25 მილიონ დოლარს შეადგენს, ტასისი – სავარაუდოდ, 5-6 მილიონი დოლარი, რომელიც კონკრეტულად კახეთისკენ იქნება მიმართული. კახეთში პროექტი უკვე ხორციელდება; რაც შეეხება პირველ ორ დონორს, მსოფლიო ბანკის ნაწილის პრეზენტაცია 29 ივლისსაა დაგეგმილი, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტისა – სექტემბერში. ახალი პროგრამა ხუთწლიანია.

უკვე დასრულებული პროექტის ფარგლებში კი, რომელზეც 2 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაიხარჯა, მომზადდა 40 ოჯახის ექიმი, აქედან 18 – რეგიონებში; 5 ზოგადი პრაქტიკის მენეჯერ-მასწავლებელი; 4 ზოგადი პრაქტიკის ექთან-მასწავლებელი; 4 ზოგადი პრაქტიკის ექთანი; 36-მა ოჯახის ექიმმა მოიპოვა შესაბამისი სერტიფიკატი. სულ, საქართველოს, უკვე 109 სერტიფიცირებული ოჯახის ექიმი ჰყავს, აქედან 32 – აჭარაში, იმერეთსა და შიდა ქართლში. კიდევ 32 ექიმის მომზადებას აფინანსებენ ახლა ქვეყნის ფედერალური და თბილისის მუნიციპალური ბიუჯეტები.

თუ ამ პროექტში აქცენტი თბილისზე კეთდებოდა, მომავალი პროექტი რეგიონებზე იქნება აქცენტირებული. დღეს უკვე მზადდება 19 ექიმი მცხეთა-მთიანეთისთვის, 90 ექიმს კი დასავლეთ საქართველოში საოჯახო მედიცინაში მოკლე კურსები ჩაუტარდა. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მით უმეტეს, რომ პროექტის ქართველი მონაწილეების განცხადებით, მარტო თბილისს 400-420 ოჯახის ექიმი სჭირდება, რეალურად კი დღეს მხოლოდ 40 ჰყავს. მათი გათვლებით, წელინადში სულ 60-70 ოჯახის ექიმის მომზადება შეიძლება და ეს, სულ მცირე, 200 ათას ლარს საჭიროებს.

გუშინ დასრულებულად გამოცხადებული პროექტის ფარგლებში გაკეთდა და კეთილმოეწყო ერთი ეროვნული და ოთხი სხვა საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრი. თითო ექიმი 2000 პაციენტზეა პასუხისმგებელი. ეს რაოდენობა პრობლემას არ ქმნის, პრობლემა იმით იქმნება, რომ სწავლებიდან დაბრუნებულ ექიმებს ადგილებზე ძველი გარემო ხვდებათ. მათ მისაღებად სახელმწიფოც შესაბამისად უნდა მოემზადოს, - აცხადებენ მთავრობაში, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ სიტყვებია. არადა, ოჯახის ექიმს - ამ კარგად დავიწყებულ სიკეთეს, საქართველოში, ლამის, პანაცეად მიიჩნევენ.

„ლეიბორისტებს" წინასაარჩევნოდ ბიბლიოთეკები გაახსენდათ

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მომავალ წელს დედაქალაქში 10 ახალი ბიბლიოთეკა უნდა გაიხსნას. მერიის ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში საამისო თანხები მოიძებნოს, თუმცა საკრებულოს წევრები აცხადებენ, რომ, თუკი მერია მოინდომებს, ბიბლიოთეკების ქსელის გასაფართოებლად თანხების მოძებნა არ გაუჭირდება.

ნანა ქადაგიშვილი

არჩევნების წინა პერიოდში საკრებულოს ფრაქციები სოციალური თემების წამოწევაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ამჯერად ყველას "ლეიბორისტებმა" დაასწრეს და საკრებულოს სხდომაზე ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოების ინიციატივით გამოვიდნენ. საკრებულომ მათი პროექტი უყოყმანოდ მოიწონა და გადაწყვეტილება პირველსავე სხდომაზე მიიღო. ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება - 10 ახალი ბიბლიოთეკის გახსნას, მათი წიგნებით, პერიოდიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფას გულისხმობს.

"ბიბლიოთეკები გაყიდეს და მათ ადგილას სახინკლეები გახსნეს. წიგნები და შენობები ჩალის ფასად გაიყიდა. ამიტომაც, საკრებულომ ამ პროცესის შეჩერება გადაწყვიტა. მართალია, მერია მის გადაწყვეტილებას არ იწონებს, მაგრამ ვალდებულია, დაემორჩილოს. ქალაქის ხელმძღვანელობამ თუ მოინდომა, ბიუჯეტში ბიბლიოთეკების ქსელის გასაფართოებლად სახსრების გამოძებნა არ გაუჭირდება. ათას სისულელეზე იხარჯება ფული. წლევანდელ ბიუჯეტში 50 ათასი ლარია ჩადებული პლაჟის ფრენბურთის გასავითარებლად. სად არის თბილისში პლაჟი? 200 მლნ-ანი ბიუჯეტიდან 10 ბიბლიოთეკისთვის თანხის გამოყოფა არ უნდა გაჭირდეს. შენობების პრობლემა არ იქნება. ბიბლიოთეკები, შეიძლება, მუნიციპალურ შენობებში მოთავსდეს და მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი დასჭირდეს. თანხა, ძირითადად, წიგნის ფონდის შესაძენად იქნება საჭირო," – აცხადებს ფრაქცია "ლეიბორისტის" ლიდერი, გიორგი გუგავა.

მერიაში აცხადებენ, რომ ახალი ბიბლიოთეკების ბედი მომავალი წლის ბიუჯეტის მიღებისას გადაწყდება და წინასწარ ლაპარაკი ნაადრევია.

ორი სიტყვით

თელავი. თელავს თავს სტიქია დაატყდა. რამდენიმედღიანი წვიმების შემდეგ კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარე ბელაქანმა სიღნაღის რაიონის სოფელი ერისიმედი დატბორა. დაიხოცა შინაური პირუტყვი და ფრინველი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილისის საკრებულოს მიერ დედაქალაქის პენსიონერთათვის 3 ლარით გაზრდილ პენსიას თბილისის მერია კრედიტით დაფარავს", - განაცხადა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიხეილ სააკაშვილის განცხადების საპასუხოდ, თბილისის მერი ვანო ზოდელავა აცხადებს, რომ იგი პირველკლასელებს სახელმძღვანელოებს უსასყიდლოდ უკვე სამი წელინადია ურიგებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. აჭარის მთის კურორტები ტრადიციული "შუამთობისთვის" ემზადებიან. ბეშუმში, გომის მთაზე და ჩირუხში ფოლკლორული კოლექტივები ღია ცის ქვეშ კონცერტს გამართავენ. გაიმართება ტრადიციულ დოღიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გერმანია-საქართველოს ერთობლივი საწარმოს, „თბილსერვისის" დირექტორის, კუკური გუნცაძის განცხადებით, გერმანელების დახმარებით, თბილისში ნაგავგადამამუშავებელი ქარხანა ამუშავდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ერთი კვირაა შს სამინისტროს ეკოპოლიცია, გარემოს დაცვის სამინისტრო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გურიაში, სამეგრელოსა და რაჭაში უკანონო თევზჭერის ფაქტების გამოსავლენად ერთობლივ რეიდებს ატარებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის განცხადებით, უახლოეს ერთ წელინადში თბილისს ექნება სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მოქმედების ხანგრძლივობა 10-15 წლით განისაზღვრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კუთვნილი ხელფასებისა და საშვებულებო თანხების მიღების მოთხოვნით, საქართველოს სხვადასხვა რაიონების განათლების მუშაკთა წარმომადგენლები დღეს ფინანსთა სამინისტროსთან აქციას გამართავენ. **პრაიმ-ნიუსი**



თვალსაზრისი

დეფექტური დემოკრატია და კარგი მმართველობა

ლევან იზორია
სამართლის დოქტორი (გერმანია, გოტინგენი), თსუ-ს დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კონრად-ადენაუერის ფონდის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში.

გაგრძელება; დას. "24 საათი", N198

ლეგიტიმაცია

საზოგადოებრივი ურთიერთობების დემოკრატიული მოწესრიგება სახელმწიფოს მოვალეობაა. ამიტომ, ზოგადად ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და კონკრეტულად საზოგადოების დემოკრატიზაცია, პირველ რიგში, სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობაა. აღნიშნული პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის მხარდაჭერა. მოსახლეობის ლეგიტიმაციის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის განვითარების ყოველგვარი პოლიტიკის გატარება.

დღეს საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებს დაკარგული აქვთ ნდობა. ამის მიზეზი სწორედ ის გარემოებაა, რომ სახელმწიფო მოხელენი უშუალოდ გამოდიან „საბაზრო ურთიერთობების" მონაწილე სუბიექტებად. მათი საქმიანობის ლაიტმოტივს წარმოადგენს პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრების საბაზრო პრინციპი, რომელიც „ამორალურ" თავისუფლებაში გამოიხატება. თავისი ბუნებით ეს პრინციპი შორს დგას სამართლებრივი წესრიგის საფუძვლებისგან და კორუფციულ წესრიგში ჰპოვებს სტაბილურ განვითარებას.

საზოგადოების საბაზრო „თავისუფლება" მხოლოდ აღნიშნული სტაბილურობის შედეგია. როგორ შეიძლება ასეთ ვითარებაში ცალკეული მოქალაქის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, როდესაც მას კანონის დარღვევას აჩვევს და ასწავლის ის, ვისაც პირველ რიგში კანონის დაცვა აკისრია?

საბაზრო პრინციპის საფუძველზე, საქართველოში მტკიცედ ჩამოყალიბდა სახელმწიფოს კლანური ეკონომიკის პოლიტიკა. ცალკეული სახელისუფლებო უფლებამოსილება იძენს გამდიდრებაზე ორიენტირებული ოჯახური ბიზნესის ფორმას, რომელიც რეალურად არავითარ სამართლებრივ შეზღუდვას არ ექვემდებარება. სამართლიანი კონკურენციისა და მონოპოლიის აკრძალვის ფაქტობრივი უგულებელყოფა, ანუ საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიული მოწესრიგების იგნორირება, მხოლოდ ძლიერებს, ამ შემთხვევაში, ძალაუფლების მქონე პირებს ანიჭებს „სამართალს". მოსახლეობა უნდობლობას უცხადებს ასეთ „სამართალს" და საკუთარი ძალისხმევით ცდილობს თავის გადარჩენას. ყალიბდება საერთო „საბაზრო" თავისუფლება, სადაც ცალკეული პირი არსებობისთვის ყველანაირი საშუალებით იბრძვის.

მოსახლეობამ სახელმწიფო რეფორმების ნდობაც დაკარგა. სიტყვა რეფორმა უმრავლესობაში ნეგატიურ ასოციაციას იწვევს. ეს პრობლემაც რეფორმატორების მიერ რეფორმის „საბაზრო", ანუ საკუთარი ინტერესის საფუძველზე აღქმას უკავშირდება. მოსახლეობა დარწმუნდა, რომ განხორციელებული რეფორმების უკან გავლენის სფეროების, სახელმწიფოს კლანური ეკონომიკის ხელში ჩაგდების სურვილი იდგა. პოლიტიკურ საბაზრო კონკურენციაში მათი დამარცხების შემდეგ, რეფორმების ადგილს იკავებს ხელისუფლების მიმართ აგრესიული დაპირისპირების პოზიცია.

მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე, სახელმწიფო რეფორმების წარმატება და შესაბამისად ქვეყნის დემოკრატიული განვითარება წარმოუდგენელია. დემოკრატიის არსი ლეგიტიმაციაში ვლინდება. საზოგადოებას შეუძლია ენდოს მხოლოდ ისეთ ნეიტრალურ ძალას, რომელსაც საბაზრო, ანუ კერძო ინტერესებისგან დამოუკიდებლად საერთო სიკეთეზე ორიენტაცია შეუძლია.

სამართლებრივი სახელმწიფო

ნეიტრალური ძალა, რომელსაც საბაზრო ინტერესებისგან დამოუკიდებლად, საზოგადო ინტერესების დაცვის ვალდებულება აკისრია და მისი განხორციელების უნარიც ობიექტურად გააჩნია, არის სახელმწიფო. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საფინანსო სისტემის და სხვა მრავალი საერთო სიკეთის უზრუნველყოფა.

იქ, სადაც სახელმწიფო სტრუქტურები „საბაზრო" საზოგადოების ფორმას ექვემდებარება, საერთო სიკეთის შექმნა და დაცვა შეუძლებელია. სახელმწიფო გამოდის, როგორც ბაზრის სუბიექტი. მისი აპარატის მთელი ინტელექტუალური ენერგია ეკონომიკურ და პოლიტიკურ „ბაზარზე" მონოპოლიის, ანუ ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება. ამის უზრუნველყოფის გარანტს კი პოლიციური რეპრესია წარმოადგენს და სწორედ პოლიციის უნდობლობით იწყება სახელმწიფოს უნდობლობა.

საერთო სიკეთის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დემოკრატიული სახელმწიფო, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, სადაც თითოეულის ინტერესი თანაბრად დაცულია. ასეთ სახელმწიფოში საბაზრო ეკონომიკაც საერთო სიკეთეა. ამ სიკეთიდან ყველას საკუთარი წილი ერგება. მის შექმნაში ყველას თანაბარი პირობები ეძლევა. ეს ყოველივე კი, დემოკრატიული სამართლით რეგულირდება.

დემოკრატია მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი. ხელისუფლება, რომელიც სამართალს არ ემორჩილება, ვერასოდეს განაცხადებს საერთო სიკეთის შექმნის პრეტენზიას. მისთვის სამართალი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, რეალური განხორციელების თვალსაზრისით კი საკუთარ ინტერესებთან გაიგივდება.

საბაზრო საზოგადოების სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების პერსპექტივაც მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი. „ამორალური" თავისუფლება საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. მაგრამ საზოგადოების წევრთა კანონმორჩილების ხარისხი მხოლოდ მაშინ ამაღლდება, როდესაც კანონის აღმსრულებელი პირველ რიგში საკუთარ თავს მოსთხოვს კანონის დაცვას. ამაშია დემოკრატიული ლეგიტიმურობის ელემენტარული ლოგიკა.

ამდენად, მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოს შეუძლია საზოგადოებაში საერთო სიკეთის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, მოსახლეობის ერთგვარი მორალური ინტეგრაცია. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული სამართალი საერთო სიკეთის შექმნისა და მისი განაწილების ყველაზე სამართლიან ვარიანტს იძლევა.

კარგი მმართველობა

ამ ეტაპზე საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დემოკრატიული განვითარება მხოლოდ კარგი მმართველობის კონცეფციას უკავშირდება. კარგი მმართველობა, პირველ რიგში, სამართლის პატივისცემასა და ქვეყნის განვითარების მიზანმიმართულ, პრაგმატულ პოლიტიკაში გამოიხატება.

სამართალს თავისთავად არა აქვს განხორციელების უნარი. ამ ძალას მას სახელმწიფო აძლევს. ამიტომ, პირველ რიგში, სახელმწიფო მმართველობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული სამართლის განხორციელება, ანუ მისი პატივისცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფო მმართველობას გააჩნია სამართლის ბოროტად გამოყენების ყველაზე საუკეთესო საშუალება.

სახელმწიფო მმართველობის კეთილი ნება უწინარესად ისეთი რეალური საფუძვლების შექმნაში უნდა გამოიხატოს, რომელიც სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების სამართლის ფარგლებში მოქმედებას უზრუნველყოფს. ეს არ არის ერთი ან ორი დღის საქმე, იგი განვითარების გძელვადიანი სტრატეგიაა, რომლის წარმატების ერთადერთი საწინდარი მოქმედებაა.

უმოქმედობა არსებული სტაბილურობის შენარჩუნებას, დეფექტური და დამახინჯებული ფორმების შეგუებას და ამით დემოკრატიული განვითარების ბლოკირებას ნიშნავს. უმოქმედობა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებების ე. წ. ობობას ქსელში გახვევაა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს კლანური პოლიტიკის კულტურას.

მოქმედების მასშტაბი უნდა იყოს საერთო სიკეთეზე ორიენტაცია. სწორედ ამით უნდა განისაზღვროს საქართველოში კარგი მმართველობის ბუნება. საერთო სიკეთის ოპტიმალური უზრუნველყოფა კი მხოლოდ დემოკრატიული სამართალის განხორციელებით შეიძლება. რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში მმართველობის ლეგიტიმურობას და შესაბამისად, დემოკრატიის განვითარებას ნიშნავს.

კარგი მმართველობის მოქმედების გეგმა პრაგმატული პოლიტიკა უნდა იყოს. ე. წ. აბსტრაქტული ექსპერიმენტებით, ანუ პოპულისტური იდეებით ხელისუფლებაში მოსვლა ვერ შეცვლის პასიური ხელისუფლების პოზიციას. "ექსპერიმენტების" განუხორციელებლობა მათი ლეგიტიმურობის კრიზისს გამოიწვევს. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, იგი ხელს შეუწყობს კლანური პოლიტიკის ახალი სუბიექტების დამკვიდრებას, ე. ი. კვლავ პასიური ხელისუფლების ჩამოყალიბებას. ეს კი მოსახლეობისთვის სხვა არაფერია, თუ არა ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთება, რაც გამყინვარების პოლიტიკაა.

დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, კარგი მმართველობის კონცეფცია ამ ეტაპზე მეორეხარისხოვანს ხდის ორპალატიანი პარლამენტის, დეცენტრალიზაციის ან ფედერალიზმის იდეას საქართველოში. ჯერ საჭიროა დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მყარი საფუძველი და მხოლოდ ამის ფარგლებშია გამართლებული დეცენტრალიზაციაზე ფიქრი. "ამორალური" თავისუფლების საზოგადოებისთვის, დეცენტრალიზაციის იდეა კარგი საფუძველია სეპარატიზმისთვის, განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური "საბაზრო" კონკურენციის ასპექტში.

კარგ მმართველობასა და მოსახლეობას შორის ხიდის გადება, ანუ დემოკრატიული ლეგიტიმაციის აღმოცენება, მხოლოდ თავისუფალი და მიუკერძოებელი მასმედიის არსებობის პირობებშია შესაძლებელი. საერთო სიკეთეზე ორიენტაცია უნდა იყოს არა მარტო კარგი მმართველობის, არამედ ასევე პრესისა და ტელევიზიის კარგი შეფასების კრიტერიუმი. იგივე ეხება არასამთავრობო სექტორს, რომელსაც ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის.

ორი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ უნდა გამოავლინოს კარგი მმართველობისა და კარგი მმართველის არჩევის აქტიური სურვილი და უნარი, რომელიც ქვეყნის განვითარების პრაგმატულ პოლიტიკას და კანდიდატის საქმიანობის შეფასებას დაუკავშირდება.

ჩრდილოეთ კორეაში მეორე საიდუმლო ბირთვული რეაქტორი აღმოჩნდა

ამერიკელი და აზიელი ჩინოვნიკები, რომლებსაც ჩრდილოეთ კორეის შესახებ არსებულ ყოველდღიურ სადაზვერვო ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი, აცხადებენ რომ, ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პლუტონიუმის გადასამუშავებელი მეორე საიდუმლო ქარხანა ააშენა. ამან კი შეიძლება გაართულოს, როგორც დიპლომატიური სტრატეგია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების შესაჩერებლად, ასევე - სამხედრო მეთოდების გამოყენება დიპლომატიური ძალისხმევის ჩავარდნის შემთხვევაში. ამის თაობაზე ამერიკული გამოცემის "ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნის" გუშინდელი ნომერი იუწყება.

პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი წარმომადგენლის განცხადებით, ასეთი მონაცემების არსებობა "ძალიან შემაშფოთებელია, თუმცა საბოლოო არ არის." ამ ცნობას უფრო სარწმუნოდ აქცევს ორი კვირის წინ თავად ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ მათ უკვე აქვთ 8 ათას ტონამდე გადასამუშავებელი ბირთვული საწვავი. ეს რაოდენობა კი სავსებით საკმარისია ხუთი ბირთვული ბომბის შესაქმნელად.

აშშ-ს ადმინისტრაციის ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ მათ ჩრდილოეთ კორეის აღნიშნული ინფორმაციის დადასტურება არ შეუძლიათ. თუმცა, ჩრდილოეთ კორეის საზღვართან დაყენებულმა სენსორებმა "კრიპტონ-85"-ის დონის ამაღლება დააფიქსირეს. ეს არის გაზი, რომელიც პლუტონიუმად სითხის გარდაქმნის პროცესში გამოიყოფა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელ, სამხრეთ კორეელ და იაპონელ ანალიტიკოსებს ამ გაზის გამოყოფა იმდენად არ აშფოთებთ, როგორც თავად დაფიქსირებული ნივთიერების წყარო. ამერიკული თანამგზავრები, რამდენიმე წლის განმავლობაში აკვირდებიან ენბენის რაიონში მდებარე ჩრდილოეთ კორეის მთავარ ბირთვულ ქარხანას. აღმოჩენილი კრიპტონის კომპიუტერულმა ანალიზმა კი ცხადყო, რომ გაზი ენბენის ქარხანას არ მიეკუთვნება. გამოკვლევათა შედეგებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ კრიპტონის ტიპის გაზი მეორე საიდუმლო ქარხნის ამუშავების შედეგად არის წარმოქმნილი. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს ქარხანა სადღაც მთებში უნდა იყოს აშენებული.

ამდენად, ჩრდილოეთ კორეაში ამ ეტაპზე, სულ ცოტა, ორი ბირთვული ობიექტი არსებობს, რომლებსაც ატომური იარაღის შესაქმნელად ნივთიერების გადამუშავება შეუძლიათ. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ამ მეორე ქარხანაში სრულმასშტაბიანი მუშაობა რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყება.

ავსტრალიამ სოლომონის კუნძულებზე ჯარები გაგზავნა

ორშაბათს ავსტრალიის სამხედრო გემმა სოლომონის კუნძულებისაკენ აიღო გეზი და 2000-კაციანი სამხედრო და საპოლიციო ძალები ქვეყანაში წესრიგის აღსადგენად წაიყვანა. სოლომონის კუნძულები ავსტრალიის მახლობლად მდებარეობს და, შიდა დაპირისპირების გამო, დაშლის პირსაა მისული.

სამხედრო გემი "მანურა" სასარდლო პუნქტის, ჰოსპიტალისა და ავსტრალიური ჯარების მოსამარაგებელი საწყობის ფუნქციას შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ წესრიგის დასამყარებლად ავსტრალიის ჯარს გასულ კვირას თავად სოლომონის კუნძულების პარლამენტმა სთხოვა შესვლა.

ავსტრალიის შეიარაღებული ძალების სარდლის, მარტინ ბრუკერის თქმით, გემი დღეს სოლომონის კუნძულების დედაქალაქის, ჰონაირას მახლობლად ჩაუშვებს ღუზას, ხოლო ჯარისკაცები დანიშნულების ადგილას შვეულმფრენების მეშვეობით გადასხდებიან.

"მანურას," სამხედრო ფუნქციების გარდა, ძალიან ბევრი შესაძლებლობა აქვს. იგი საპოლიციო ძალებისა და სამხედროების მომარაგებაში საკვანძო როლს შეასრულებს", - აღნიშნა ბრუკერმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი სამხედრო დანაყოფი, ავსტრალიის საინტერვენციო ძალები, რომელიც რეგიონის სხვა ქვეყანაში გადაისროლეს, პირველ რიგში, ჰონაირაში დაამყარებს წესრიგს - უზრუნველყოფს დედაქალაქის უსაფრთხოებას ორი გასამხედროებული ეთნიკური დაჯგუფებისაგან, რომლებიც გუადალკანალისა და მალაიტას კუნძულებზე ცხოვრობენ.



ავსტრალიის პრემიერ არშემდგარი სახელმწიფოს მეზობლად არსებობას არ შეეგუება.

ამ გასამხედროებული ორგანიზაციების წევრები ყოფილი სამხედროები და პოლიციელები არიან, რომლებიც შეიარაღებული შანტაჟით მთავრობას ფულს სთხოვენ. ამას გარდა, ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება სხვა რეგიონებზე არ ვრცელდება და, რეალურად, სიტუაციას მხოლოდ ადგილობრივი მმართველები აკონტროლებენ.

შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ყოფილი ბრიტანული პროტექტორატი, სადაც 450 000 ადამიანი ცხოვრობს, დაშლის პირას მიიყვანა. დაახლოებით, ერთი თვის წინ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი, ჯონ ჰოუვარდი პარლამენტის წინაშე გამოვიდა და განაცხადა, რომ სოლომონის კუნძულებზე არმიის გაგზავნა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოლომონის კუნძულები არშემდგარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება და ტერორისტებისა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ბუდედ გადაიქცევა. მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება რეგიონის ყველა სახელმწიფოს საფრთხეს შეუქმნის.

ავსტრალიის შეიარაღებული ძალები უამრავ პატარა კუნძულზე განლაგებულ სახელმწიფოში რამდენიმე თვის, შესაძლოა, წლის განმავლობაშიც დარჩეს მანამ, სანამ ქვეყნის სამართალდამცველი სისტემა სრულად არ აღდგება და სამთავრობო უწყებები ფუნქციონირებას არ დაიწყებს. ავსტრალიის ხელისუფლება აპირებს, რომ სოლომონის კუნძულების სახელმწიფო ინსტიტუტების გასაძლიერებლად სპეციალური პროგრამა შეიმუშაოს და კუნძულებზე სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას შეუწყოს ხელი.

ქუჩის ბრძოლები მონროვიაში

რევაზ ბახტაძე

ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში სისხლისმღვრელი ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობს. უკვე მეორე დღეა, რაც პრეზიდენტ ტეილორის მხარდამჭერი ძალები გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ დედაქალაქში შეჭრილ ამბოხებულებს, რომლებიც მონროვიაზე კონტროლის დამყარებას ცდილობენ. ამბოხებულებმა დედაქალაქთან სამთავრობო ძალების პოზიციები ორი მხრიდან გაარღვიეს. თუმცა, ლიბერიის თავდაცვის მინისტრმა, დენიელ ჩიმ სააგენტო ბი-ბი-სის კორესპონდენტს განუცხადა, რომ სამთავრობო ჯარებმა შეტევის მოგერიება შეძლეს და ორ მთავარ ხიდთან გამართულ ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვეს.

უკვე მეორე დღეა, რაც მონროვიას ამბოხებულები ნაღმტყორცნებით და ყუმბარმტყორცნებით ბომბავენ. მშვიდობიან მოსახლეობაში არსებული მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დაჭრილთა რაოდენობამ მშვიდობიან მოქალაქეებში ას ოცს გადააჭარბა.

მას შემდეგ, რაც მთავრობასა და ამბოხებულთა მოძრაობას ("ლიბერიელები მშვიდობისა და დემოკრატიისათვის") შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება დაირღვა, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა. ამბოხებულებმა დედაქალაქზე პირველი შეტევა ჩრდილოეთის მხრიდან განახორციელეს. სამთავრობო ძალების წინააღმდეგობის შემდეგ მათ თავიანთი ძალების კონცენტრაცია მონროვიას სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებთან მოახდინეს და ამ მხრიდან შეუტიეს ქალაქს.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ლიბერიელი მონროვიას შემოგარენში.

ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ ვის ხელშია საბრძოლო უპირატესობა, ურთიერთგამომრიცხავია. ამბოხებულები აცხადებენ, რომ ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ, ხოლო სამთავრობო ჯარების სარდლობა საპირისპიროს ირწმუნება. **"ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ მონროვიას,"**- დამაჯერებლად განაცხადა ლიბერიის თავდაცვის მინისტრმა. მან ამბოხებულებს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდა, თუნდაც მანამდე, ვიდრე განაში სამშვიდობო მოლაპარაკებები დასრულდება. ამბოხებულთა ლიდერები, რომლებიც განაში ორმხრივ შეხვედრაში ღებულობენ მონაწილეობას, აცხადებენ, რომ მათდამი დაქვემდებარებულმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება უკვე მიიღეს. მონროვიაში მყოფი მასმედიის წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, რომ ბრძოლა დედაქალაქისათვის გრძელდება. ამასთანავე, ცნობილი გახდა, რომ აშშ-მ თავისი საელჩოს დასაცავად მონროვიაში საზღვაო ქვეითი რაზმი გააგზავნა, რომელიც უკვე დანიშნულების ადგილას იმყოფება და საბრძოლო პოზიციები აქვს დაკავებული. რაც შეეხება ლიბერიაში ფართომასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაციის დაწყებას, პრეზიდენტი ბუში ჯერჯერობით თავს იკავებს. ამით გაღიზიანებულმა ლიბერიის პრეზიდენტმა, ჩარლზ ტეილორმა განაცხადა: **"მე მივმართავ შეერთებულ შტატებს - სისხლი თქვენს კისერზეცაა."**

ჯონ ბრემერი: სადამ ჰუსეინი ცოცხალია

ერაყის ადმინისტრაციის შეფი პოლ ბრემერი.

პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუშმა ომის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, ერაყში ორმოცამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. აშშ-ს ჯარისკაცების წინააღმდეგ ერაყელი მებრძოლები, თითქმის, ყოველ დღე ახორციელებენ თავდასხმებს, რაც, უმეტესწილად, მსხვერპლით სრულდება. გუშინ დაუდგენელმა ერაყელებმა კიდევ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი და ერაყელი თარჯიმანი მოკლეს. ბრემერი თვლის, რომ ამ თავდასხმების უკან კარგად გაწვრთნილი და მომზადებული ერაყელი სამხედროები დგანან. აქედან გამომდინარე, ერაყის ადმინისტრაციის შეფი მიიჩნევს, რომ ამ ქვეყანაში ამერიკელთა ოკუპაცია კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთი წლის შემდეგ, შესაძლოა, ერაყში დამოუკიდებელი ხელისუფლებაც შეიქმნას, რომელიც მთლიანად ერაყელებისგან იქნება დაკომპლექტებული და თავადვე აგებს პასუხს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

ოთხსაათიანი ბრძოლა ჩეჩნეთში

გუშინ ცნობილი გახდა, რომ კვირას ჩეჩენ მებრძოლებსა და რუს სამხედროებს შორის მასშტაბური შეტაკება მოხდა, რასაც ექვსი რუსი ჯარისკაცი შეეწირა, ხოლო რვა დაიჭრა. ბრძოლა იმ დროს დაიწყო, როდესაც ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფი სოფელ დიშნე-ვედენოს მიუახლოვდა. სოფელთან გამაგრებულმა ფედერალურმა ძალებმა, რომელთა შორისაც ჩეჩენი ეროვნების პირებიც იყვნენ, მათ ცეცხლი გაუხსნეს. მოულოდნელად გამოჩენილ ჩეჩნურ დაჯგუფებას პასუხის გასაცემად ყოყმანი არ დაუწყია.

"ბანდიტები შავ ტანისამოსში და ნიღბებში იყვნენ გამოწყობილები და თავზე მწვანე ლენტები ეკეთათ. მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ისინი ბრძოლით ცდილობდნენ ტყის მასივისაკენ უკან დახევას,"- განუცხადა ჟურნალისტებს ჩეჩნეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა ილია შაბალკინმა.

ბრძოლის სერიოზულობაზე ისიც მიუთითებს, რომ შეტაკება ოთხ საათს გრძელდებოდა, რის შემდეგაც სოფელთან გამაგრებული ფედერალური ძალები იძულებულნი გახდნენ, დამხმარე რაზმი გამოეძახათ. **"შემთხვევის ადგილას ჯავშანჯგუფი მივიდა, რომელიც ცენტრალურმა სამხედრო კომენდატურამ გაგზავნა. მათთან ერთად ბრძოლაში ჩაერთო ჩეჩნეთის კომენდატურის სპეცასეულიც, სულიმ იმადაევის მეთაურობით. ფედერალურმა ძალებმა მასირებული შეტევისაგან თავი შეიკავეს,"**- განმარტა შაბალკინმა. მისი ინფორმაციით, ფედერალურმა ძალებმა ექვსი ჩეჩენი თავდამსხმელის განადგურება მოახერხეს, ხოლო ერთი დაჭრილი ტყვედ აიყვანეს, რომელიც მალევე გარდაიცვალა. შაბალკინის თქმით, რუსებს მისი დაკითხვა მაინც მოუსწრიათ. დაჭრილმა ჩეჩენმა რუს სამხედროებს განუცხადა, რომ თავდამსხმელთა ჯგუფი ქალაქ არღუნის ვაჰაბიტთა ჯამაათის წევრებისგან შედგებოდა და მათ ჩეჩენი პიროვნება, მეტსახელად "მაგასი," ხელმძღვანელობდა. ამ დროისათვის სოფლის მიდამოებს რუსი სამხედროების გაძლიერებული დანაყოფები აკონტროლებენ.

აშშ-მ თურქეთს სამშვიდობო ჯარების გაგზავნა სთხოვა

საინფორმაციო სააგენტო "როიტერი," თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე დაყრდნობით, იუწყება, რომ შეერთებულმა შტატებმა თურქეთს ერაყში მშვიდობისმყოფელების გაგზავნა სთხოვა. მიმოხილველების აზრით, ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ აშშ-სა და თურქეთს შორის არსებული დაძაბულობა ჩაცხრა.

ერაყის ომის დაწყების შემდეგ ვაშინგტონი და ანკარა ჩრდილოეთ ერაყში შექმნილ ვითარებას ერთობლივად განიხილავენ. ანკარა ეჭვობს, რომ ტერორისტული ორგანიზაციის, "ქურთისტანის მუშათა პარტიის" წარმომადგენლები სწორედ ერაყს აფარებენ თავს. თურქეთს სურს, რომ ამერიკელებმა ზეწოლა მოახდინონ მოკავშირე ერაყელ ქურთებზე, რათა მათ თურქეთის საწინააღმდეგო ქმედებებისაგან თავი შეიკავონ. ანკარა შიშობს, რომ ერაყში ქურთების ფართო ავტონომიამ და "ქურთისტანის მუშათა პარტიის" მოქმედებამ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტული განწყობა არ გააღვივოს.

ერაყის ომის დაწყებიდან დღემდე ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბული იყო, რადგან ანკარამ ამერიკის ჯარს მის ტერიტორიაზე გავლის ნება არ დართო. ცოტა ხნის წინ კი ამერიკელებმა ჩრდილოეთ ერაყში 11 თურქი ჯარისკაცი დაკავეს, რაც თურქების აღშფოთება მოჰყვა.

ბოლო დღეებში ორ მოკავშირეს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რათა ყველა სადავო საკითხი გადაიჭრას. ექსპერტების აზრით, ამერიკელების მიერ ერდოგანისათვის გაგზავნილი თხოვნა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების დათბობაზე მიანიშნებს.

ისრაელს ირანული რაკეტები აშფოთებს

გუშინ ირანის უზენაესი ლიდერი, აიათოლა ალი ხამენეი საზეიმო ცერემონიალს დაესწრო, რომელზეც ახალი რაკეტები - "შაჰაბ-3" შეიარაღებულ ძალებს გადასცეს. ცერემონიალი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. "შაჰაბ-3"-ის მოქმედების რადიუსი 1300 კილომეტრია.

"დღეს ჩვენი შეიარაღებული ძალები მზად არიან, რომ თავიანთი ინტერესები ყველგან დაიცვან", - ხამენეის აღნიშნული სიტყვები სააგენტო "ფრანს პრესმა" გაავრცელა.

ისრაელმა და შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებენ, ახალი რაკეტების დამზადების გამო შეშფოთება გამოთქვეს.

ფარსიზე "შაჰაბი" მეტეორს ნიშნავს. "შაჰაბ-3"-ს ისრაელის, აღმოსავლეთ თურქეთისა და პაკისტანის ტერიტორიებზე შეუძლია დარტყმების განხორციელება.

ერაყის ომის შემდეგ ირანზე ზეწოლა ერთი-ორად გაიზარდა. საერთაშორისო თანამეგობრობა თეირანისაგან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამატებით პროტოკოლზე ხელმოწერას მოითხოვს, რომელიც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს საშუალებას მისცემს, ირანის ბირთვულ რეაქტორებს დეტალური ინსპექტირება ნებისმიერ დროს ჩაუტარონ.

ირანი ბრალდებებს გადაჭრით უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვული რეაქტორები ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად სჭირდება და არა ატომური ბომბების დასამზადებლად.

ირანის ტელევიზიის გუშინდელ გადაცემაში ხამენეი სხვა კლერიკალებთან ერთად "შაჰაბ-3"-ის რაკეტების გვერდზე იდგა, რომლებიც მანქანებზე იყო დამაგრებული. ირანის ტელევიზიის ცნობით, "რევოლუციის მცველებს", ელიტურ შეიარაღებულ დაჯგუფებას, რომელსაც დამოუკიდებელი საჰაერო ძალები ჰყავს, რამდენიმე სატრანსპორტო და საბრძოლო შვეულმფრენი და, ასევე, სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები გადაეცა, რომელთა რაოდენობა არ დაუკონკრეტებიათ.

"რევოლუციის მცველთა" ხელმძღვანელის, იაჰია რაჰიმ-საფავის თქმით, მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები ახლა "მზად არიან ირანის ნებისმიერი საფრთხისაგან დასაცავად".

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით

მიმდინარე წლის 14-18 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 13 998.9 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 290.9 ათასი ლარი:
- **დისკონტი - 251.5 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 39.4 ათასი ლარი;**

2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 466.4 ათასი ლარი:
- **ელექტროენერგიის დავალიანების დაფრვა (საქართველოს პრეზიდენტის 02.07.03 N822 განკარგულების თანახმად) - 466.4 ათასი ლარი;**
- თავდაცვის სამინისტრო - 268.6 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 107.9 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 89.9 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 12 506.6 ათასი ლარი;
- **საგარეო ვალდებულებები (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "თბილავიამშენი") - 2 000.0 ათასი ლარი, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის N798 განკარგულებისა;**
- **საგარეო ვალდებულებები (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "ქართული შაქარი") - 3 000.0 ათასი ლარი, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის N798 განკარგულებისა;**
- **საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის შრომის ანაზღაურება - 4 796.5 ათასი ლარი;**
- უშიშროების საბჭო (საშვებულებო) - 21.5 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა) - 67.9 ათასი ლარი;
- უმაღლესი სასწავლებლები (საშვებულებო) - 2 452.1 ათასი ლარი;
- სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები (საშვებულებო) - 296.0 ათასი ლარი;
- ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 600.0 ათასი ლარი;
- რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები (საგანმანათლებლო დაწესებულებები - საშვებულებო) - 359.0 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის კვების ხარჯები - 1 135.2 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 210.8 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო - 69.0 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 506.6 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 338.6 ათასი ლარი;
- დაზვერვის დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;
- სპორტის დეპარტამენტი - 2.2 ათასი ლარი;
- ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 1 164.9 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა შენახვის ხარჯები - 231.0 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება - 30.0 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა კომუნალური ხარჯები - 500.0 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 403.9 ათასი ლარი;

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 200.0 ათასი ლარი;

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამები - 10.0 ათასი ლარი;

პრეზიდენტის ფონდი - 200.0 ათასი ლარი;
- სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი (საქართველოს პრეზიდენტის 08.04.03 N391 განკარგულების თანახმად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს ნაკრები გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მომზადებისა და მონაწილეობისათვის გადაერიცხა - 117.8 ათასი ლარი; ხოლო საქართველოს პრეზიდენტის N47 11.03.03 განკარგულებით "ათენის საზაფხულიო 28-ე ოლიმპიური თამაშებში" მონაწილეობის მისაღებად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს სპორტსმენთა მომზადებისათვის გამოეყო 82.2 ათასი ლარი) - 200.0 ათასი ლარი;

4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 735.0 ათასი ლარი;
- **"სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 483.5 ათასი ლარი:**
- სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები (აპრილის თვის) - 120.5 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 200.0 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო - 64.5 ათასი ლარი;
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 16.7 ათასი ლარი;
- კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი - 2.4 ათასი ლარი;
- სამხედრო საინჟინრო აკადემია - 15.4 ათასი ლარი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო - 49.0 ათასი ლარი;
- საქართველოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო - 15.0 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 1.5 ათასი ლარი;
- საქართველოს გენერალური პროკურატურა - 1.5 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 N211 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის სხდომის 28.02.03 N2/8 ოქმის დავალებათა შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 12.02.03. N127 განკარგულების თანახმად სათბობენერგეტიკის სამინისტროს გადაერიცხა 250.0 ათასი ლარი.

სულ ხარჯი: 13 998.9 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 290.9 ათასი ლარი:
- **დისკონტი - 251.5 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 39.4 ათასი ლარი;**

2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 466.4 ათასი ლარი:

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 12 506.6 ათასი ლარი;

4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 735.0 ათასი ლარი;

სხვა საქონელი და მომსახურება - 483.5 ათასი ლარი;

მივლინება - 1.5 ათასი ლარი;

სუბსიდია - 250.0 ათასი ლარი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1

ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge

შუშაკი "ჰოვს" ჯერ არ იძახის

გიორგი აბაიძის ფოტო

ბოლო ვარჯიში ალბანეთში გამგზავრების წინ

მიხეილ აბაიშვილი

დღეს, დილის 10 საათზე, თბილისის "დინამო" ტრანსა-თბილისის ჩარტერული რეისით ალბანეთში გაემგზავრა, სადაც ხვალ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩს გამართავს. ერთი დღით ადრე კი ივო შუშაკმა ჩაატარა "ღია ვარჯიში", რომელსაც პრესკონფერენციაც მოაყოლა.

ვარჯიშში მონაწილეობა მიიღო 22-მა ფეხბურთელმა, რომელთაგან მწვრთნელმა ტირანაში მხოლოდ 20 ნაიყვანა (გვარამაძე, ზოიძე, მამალაძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, წერეთელი, სახვაძე, კარლოს და როჩა, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, კანდელაკი, იაშვილი, სამხარაძე, ბობოხიძე, მელქაძე, ახალაია). თბილისში დარჩნენ "დინამო 2"-დან გადმოყვანილი ექონია და ბრაზილიელი ლეგიონერი ტესერი, რომლის განაცხადში შეყვანა ვერ მოესწრო. იმ შემთხვევაში, თუ "დინამო" ალბანურ ბარიერს გადალახავს, ტესერს ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წინ შეიყვანენ განაცხადში და იგი თავის ახალ გუნდს ავსტრიის "გრაცის" წინააღმდეგ მატჩებში დაეხმარება.

საწვრთნელმა პროცესმა საათნახევარს გასტანა - მგზავრობის წინ შუშაკმა ფეხბურთელები სერიოზულ ფიზიკურ დატვირთვებს აარიდა. გამახურებელი ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებმა რამდენიმე კომბინაციის დახვეწაზე იმუშავეს, რასაც კარში დარტყმები და ორმხრივი თამაში მოჰყვა.

როგორც ყოველთვის, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მწვრთნელი ოპტიმისტურად იყო განწყობილი, რისი საფუძველიც მას ნამდვილად აქვს. შეგახსენებთ, რომ განმეორებით მატჩზე საქართველოს ჩემპიონი 3-ბურთიანი, თანაც, "მშრალი" ფორით გაემგზავრა.

"ჩვენი უპირველესი მიზანია, მეტოქეს გოლი გავუტანოთ. ამიტომ, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებ და "ტირანას"იმ ფეხბურთელებით დავუპირისპირდებით, რომლებმაც პირველ მატჩში მიიღეს მონაწილეობა. ანუ, ისევ ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ და არც ტაქტიკას შევცვლით. ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მზად არის თამაშისთვის", - განაცხადა შუშაკმა.

მთავარი მწვრთნელის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ორრაუნდიანი ბრძოლის "პირველი ტაიმის" შემდეგ სოლიდურ უპირატესობას ფლობს, "დინამოს" შემდეგ ეტაპზე გასულად გამოცხადება სწორი არ არის. თუმცა, შუშაკი არ მალავს, რომ მის გუნდს ამის ძალა ნამდვილად შესწევს.

"ვინც იტყვის, რომ ალბანური ფეხბურთი სუსტია კატეგორიას განეკუთვნება, გავახსენებ "ვლაჟნიას", რომელმაც ორი წლის წინ "დინამო" ევროტურნირს გამოთიშა. ალბანელები ყველანაირად ეცდებიან, ამჯერადაც გვაჯობონ და აქტიურ, აგრესიულ თამაშს შემოგვთავაზებენ. თუ ჩვენ პირველ 30 წუთში 2-3 სერიოზულ შეტევას განვახორციელებთ (მჯერა, რომ ასეც მოხდება), თამაში ჩვენი იქნება. საერთოდ კი, ამ წყვილში ის გაიმარჯვებს, ვინც ტაქტიკურად სწორად, ჭკვიანურად ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, ჩემი ბიჭები პირველ მატჩში მოპოვებულ უპირატესობას ქარს არ გაატანენ. არ იფიქრონ, თითქოს დაცვაში ჩადგომას ვაპირებდეთ. "დინამო" ტირანაშიც შეუტევს და მელქაძე-ახალაიას წყვილს ალბანეთშიც დიდი მისია დაეკისრება. მათ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ "ტირანას" დაცვა მუდმივ დაძაბულობაში ამყოფონ და შეტევებში ჩართვის ხალისი გაუქრონ", - თქვა ივო შუშაკმა.

მატჩი 23 ივლისს, თბილისის დროით, 21 საათზე დაიწყება.

TV-სპორტი

სამშაბათი. 22 ივლისი

NTB + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "ბაიერი"
15:00 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. მე-18 ტური
15:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ფიორენტინა" – "მანჩესტერ იუნაიტედი"
17:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
17:30 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" – "ბარსელონა"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 განვლილი სეზონის გახსენება. საფრანგეთის ჩემპიონატი. "ბორდო" – "სოშო"
21:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "დინამო" (უკრაინა) – "რეალი" (ესპანეთი)
23:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ბრეშა" – "ლაციო"
00:40 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

NTB + СПОРТ
11:00, 14:15, 19:25 პრეს-ცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მეოთხედფინალი
12:45 ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. ჩინეთი – კანადა
14:30 ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. კორეა – რუსეთი
16:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრე. სლოვენია – რუსეთი. შესვენებისას (17:00) პრეს-ცენტრი
17:55 ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. რუსეთი – ტაილანდი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:40 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრის მატჩების მიმოხილვა
23:45 "სპორტული გლობუსი"
00:10 "პოსტსკრიპტუმი"
01:10 ახალი ამბები
01:25 ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. ჩინეთი – კორეა

EUROSPORT
11:30 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
14:00 სპიდვეი. სლოვენიის გრან-პრი
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური
17:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
18:30 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 ახალი ამბები
02:15 სპიდვეი. სლოვენიის გრან-პრი
03:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი
03:45 რბოლა კატერებით. მსოფლიო ჩემპიონატი მაროკოში
04:15 ახალი ამბები

საქართველოს ნაკრებს ალტერნატივა ეყოლება?

სფფ ალტერნატიული ეროვნული ნაკრების შექმნის იდეას განიხილავს

ბატონო მერაბ

მოგახსენებთ, რომ ეს იდეა რამდენიმე წლის წინათ დამებადა და ამ ხნის განმავლობაში ბევრ კითხვას გავეცი პასუხი, რათა მივსულიყავი იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია (უკვე მტკიცედ ვარ დარწმუნებული) ეს პროექტი განხორციელდეს უმოკლეს ვადაში. კერძოდ, შესაქმნელია ალტერნატიული, საქართველოს მეორე ეროვნული ნაკრები, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეებისაგან, არც ერთი ლეგიონერსა და არც სხვა ნაკრებში მყოფ ფეხბურთელისაგან. ეს ხელს შეუწყობს ახალი ფეხბურთელების აღმოჩენას, დამატებით ფეხბურთის პოპულარიზაციას და უამრავი სხვა დადებითი ელემენტის აღმოჩენას ფეხბურთის განვითარების სფეროში, მთელ მსოფლიოში.

საქართველოს პირველ ეროვნულ ნაკრებსა და ახალგაზრდულ ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის არსებობს სიცარიელე, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად უნდა ამოივსოს საქართველოს ეროვნული მეორე ნაკრებით, რომელიც დაკომპლექტდება უშუალოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით.

ბატონო მერაბ, ფეხბურთის სამყაროში თქვენს მიერ მოპოვებული უდიდესი ავტორიტეტი შესაძლებელს ხდის, რომ ეს იდეა უმოკლეს ვადაში განხორციელდეს. ეს მოვლენა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ისტორიული საკუთრება გახდება.

შემიძლია ამ საკითხთან დაკავშირებით, ფეხბურთის მესვეურების, სპეციალისტების, პრესისა და ტელევიზიის უამრავ კითხვას გავცე ამომწურავი პასუხი.

ამჯერად შემოვიფარგლები ამ მოკლე წერილით. მზად ვარ თქვენთან ერთად ვემსახურო საქართველოს ფეხბურთს და სრულიად საქართველოს.

ფეხბურთის ცოდნა და სიყვარული თქვენ უკვე დაანახეთ საზოგადოებას, ბატონო მერაბ, ამიტომაც მჯერა, რომ თქვენის მეოხებით ამ იდეას უწერია განხორციელება.

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს.

პატივისცემით,
ვაჟა ყვანია
21.07.2003

აკა ტრონია

წერილი, რომლის შინაარსიც სრულად წარმოგიდგინეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინ მიიღო და რეზოლუციაც დაადო. ფედერაცია ალტერნატიული ნაკრების ჩამოყალიბების საკითხს განიხილავს, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ხანებში შესაძლოა საქართველოს კიდევ ერთი ეროვნული ნაკრები დაემატოს.

"ალტერნატიული" ნაკრები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გაუწევს დახმარებას. ვაჟა ყვანია დარწმუნებულია, რომ ამ ახალი გუნდის შექმნა ქართულ ფეხბურთში არსებული პრობლემების მოგვარებაზეც იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას. ერთი რამ კი ცხადია, მსგავსი გამოცდილება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან გვახსოვს, როდესაც არსებობდა სსრკ-ს პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. მეორე ნაკრები თითქმის ყველა განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანას ჰყავს, ხშირად ტარდება ტესტ-მატჩები ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებსა და ლეგიონერებს შორის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ნაკრები გუნდები ამ ქვეყნებში ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ალტერნატივად არ აღიქმება. სწორედ ეს არის ის ფაქტორი, რითაც ვაჟა ყვანიას მიერ წარმოდგენილი პროექტი განსხვავდება. ყვანიას წინადადება ოფიციალური მეორე ნაკრების შექმნას ეხება. ეროვნული ნაკრებისაგან განსხვავებით, "ალტერნატიულ" ნაკრებში მიწვეული უნდა იქნან არა მთლიანად საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები, არამედ ის მოთამაშეები, რომლებიც ეროვნული ნაკრების შემადგენლობის მიღმა რჩებიან, არადა პირველ გუნდში თამაშის რეალური პოტენციალი გააჩნიათ. ვაჟა ყვანიას აზრით, მეორე ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელები უშუალოდ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებს უნდა წარმოადგენდნენ.

გიორგი ხერხეულიძის ფოტო

ვაჟა ყვანია ალტერნატიული ნაკრების შექმნის მომხრეა

ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ნორმალურ საფეხბურთო ქვეყანას, ეროვნული ნაკრების გარდა საქართველოს ჰყავს რამდენიმე სხვა ნაკრები: 21 წლამდე, 19 წლამდე და ა.შ. რა საჭიროა კიდევ ერთი ნაკრების შექმნა? უნდა მივცეთ თავს ასეთი ფუფუნების უფლება? – პასუხად მხოლოდ ის გამოდგება, რომ "ალტერნატიული" ნაკრების შექმნა არა ზედმეტი პრობლემების დასამატებლად, არამედ მათ მოსაგვარებლად არის საჭირო. ამ გუნდის ჩამოყალიბება ეროვნული ნაკრების გაძლიერებას მოემსახურება. ვაჟა ყვანიას თქმით, ეროვნულ ნაკრებსა და 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებს შორის უდიდესი ვაკუუმი არსებობს, რომელიც სასწრაფოდ შევსებას მოითხოვს. ეროვნული ნაკრები უპირველეს ყოვლისა, ლეგიონერებით, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე შედარებით ძლიერი გუნდების მოთამაშეებითა და ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებით მარაგდება. მიუხედავად "წყაროების" სიუხვისა, ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩენის ალბათობა საკმაოდ ბევრ ძლიერ ფეხბურთელს ემუქრება. ნაკრების მწვრთნელთა მიერ ფეხბურთელების შერჩევის პრინციპი თითქმის ყველა ქვეყანაში იდენტურია. მწვრთნელები, პირველ რიგში, წარმატებული, ტიტულოვანი კლუბების წევრებს აკვირდებიან და საკმაოდ ხშირად ხდება, რომ მათი მხედველობის არეალში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ვერ ხვდება. საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელმაც სრულად უნდა გამოიყენოს საკუთარი რესურსები. "ალტერნატიული" ნაკრები სწორედ ამ ფეხბურთელთა თავგამოსაჩენად უნდა შეიქმნას. "ხშირად ხდება, რომ 21 წლის ასაკში ფეხბურთელი ვერ ავლენს თავის რეალურ პოტენციალს, ის ვერ ხვდება ახალგაზრდულ ნაკრებში, აქედან გამომდინარე, ეროვნულ ნაკრებში მიწვევაზე საუბარიც კი ზედმეტია. მაგრამ შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი შედარებით გვიან გაიფურჩქნოს, გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი. ამ ასაკისათვის კი ეს ფეხბურთელი არც ერთ ნაკრებში არ ირიცხება. ახალგაზრდულისათვის ის "დაბერებულია", ეროვნული ნაკრებისათვის კი ჯერ კიდევ გამოუცდელი. აქედან გამომდინარე დიდია კარგი ფეხბურთელს დაკარგვის რისკი. სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას მეორე ნაკრები, სწორედ ასეთი ფეხბურთელებისათვის. ალტერნატიული ნაკრები ეროვნული გუნდის მწვრთნელებსაც დიდ დახმარებას გაუწევს. მათ გამოუჩნდებათ რამდენიმე ათეული ფეხბურთელი", - განაცხადა ვაჟა ყვანიამ "24 საათთან" საუბარში. ეჭვგარეშეა, რომ ალტერნატიული ნაკრების შექმნა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს. ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია გაუჩნდებათ. ნაკრებში მოხვედრის შანსი კი სულ მცირე, ღარიბი კლუბების მოთამაშეებსაც კი ექნებათ.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საკითხი: საქართველოს ეროვნული ნაკრები მუდამ დგას ამხანაგური მატჩების არქონის პრობლემის წინაშე. "ალტერნატიული" ნაკრების სახით ეროვნულ გუნდს მუდმივი, ძლიერი სპარინგ-პარტნიორი გაუჩნდება, რომლის წინააღმდეგ ძალების მოსინჯვა ყოველთვის იქნება შესაძლებელი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჟვანიას წინადადებას უახლოეს ხანებში განიხილავს და ალბათ ჩვენც მალე გავიგებთ, ეყოლება თუ არა საქართველოს მეორე ეროვნული ნაკრები.

Tour de France

გაქცევა ლოდენვილის მთებში

ირაკლი ბერიაშვილი

ჩვენი სამართალმდაცავების ენით თუ ვიტყვით, ამ დღეებში მასიური გაქცევა განხორციელდა სენ-ჟიროდან ლოდენვილისკენ მიმავალ გზაზე. გაქცეულთა რიცხვი არაფრით ჩამოუვარდებოდა ამ ბოლო დროს ქართული კოლონიებიდან და ციხეებიდან გაქცეულთა რაოდენობას.

ახლა, რაკილა დავიწყე, მკითხველი რომ არ დავაბნიო, ამავე სტილით განვაგრძობ თხრობას.

გაქცეულთა შორის, რომელთა რიცხვი ოცს აღემატებოდა, პელოტონის რიგით მოქალაქეთათვის ერთობ საშიში რამდენიმე კაციც იყო. ერთი მათგანი, სახელად მანუელ ბელტრანი, მმართველი მაფიის, ესე იგი, US პოსტალის წევრი გახლდათ. საველოსპორტო საზოგადოებისთვის არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული "მარტოხელა მგელი", მთებში გაქცევებისთვის აქამდე ხუთჯერ ნასამართლევი (ხუთჯერვე მთის მეფის ტიტული მიესაჯა), ფრანგული წარმოშობის რიშარ ვირანკიც. რომ ეს პიროვნება სწორედ ვირანკია, მოწმეთა ჩვენებითაც დასტურდება. რამდენიმე ასეულმა ველომოყვარულმა ლე ბანის აღმართზე საკუთარი თვალით ნახა, როგორ აგრესიულად იქცეოდა წითელკოპლებიან სამოსელში გამოწყობილი კაცი. "კრიმინალებს", ესე იგი, იმათ, ვინც კრიმინალის თაობაზე წერს, ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს სწორედ ის რიშარ ვირანკია.

ახლა კი, ისევ და ისევ მკითხველის ნებართვით – როგორ ვთქვა უფრო დელიკატურად – პირიდან ლუკმის გამომცლელის სახელი რომ არ დავიგდო, ნორმალურ ამბებსა და ნორმალურ ადამიანებს დავუბრუნდები.

კაცმა რომ თქვას, ეს გაქცევაც არ იყო. პელოტონი ლამის ორ ნაწილად გაიყო. ორივე ნაწილს საკუთარი, ერთიმეორისგან დამოუკიდებელი პრობლემები აწუხებდა. წინა ჯგუფს, რომლის ლიდერი, რაღა თქმა უნდა, რიშარ ვირანკი იყო, ლიდერებთან გვარიანი ჩამორჩენის ლიკვიდაცია და, შესაძლოა, ეტაპის მოგების შანსის მოძებნა სურდა. მეორე, ლიდერებით დახუნძლულ ჯგუფში, ძირითადად, ერთიმეორის თვალის დევნებით იყვნენ დაკავებულები. ერთი კი არის, ამ ორი ჯგუფის დამოუკიდებლობა იქამდე გაგრძელდა, სანამ მათ შორის სხვაობა 15 წუთამდე არ გაიზარდა. ამ მომენტისთვის ტურ დე ფრანსის, ასე ვთქვათ, თეორიულ ლიდერებად მანუელ ბელტრანი და რიშარ ვირანკი იქცნენ, რადგან ერთი სულ თორმეტ წუთს აგებდა ეტაპის დაწყებამდე, მეორე – თოთხმეტს. არმსტრონგი და მისი გუნდი US პოსტალი მშვიდად ადევნებდნენ თვალს მოვლენების განვითარებას, რადგან ყვითელი მაისურის ვირტუალური მფლობელი ბელტრანი მათი გუნდის წევრი იყო. ეს ყველაფერი მეორე უღელტეხილზე ხდებოდა, ასე რომ, დიდად არც იან ულრიხის გუნდი შეფუცხუნებულა, რადგან წინ

REUTERS

ჯილბერტო სიმონი სიხარულს ვერ მალავდა

ტექნიკური შედეგები

XIV ეტაპი. სენ-ჟირო – ლოდენვილი. 191,5 კმ.

1. ჯილბერტო სიმონი (საეკო, იტალია)	5 სთ. 31 წთ. 52 წმ.
2. ლორან დიუფო (ალესიო, შვეიცარია)	იგივე დრო
3. რიშარ ვირანკი (ქუიქ სტეპი, საფრანგეთი)	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ)	61 სთ. 07 წთ. 17 წმ.
2. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია)	+15 წმ.
3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ტელეკომი, ყაზახეთი)	+18 წმ.
4. აიმარ სუბელდია (ეუსკალტელი, ესპანეთი)	+4 წთ. 16 წმ.
5. იბან მაიო (ეუსკალტელი, ესპანეთი)	+4 წთ. 37 წმ.
6. ივან ბასო (ფასა ბარტოლო, იტალია)	+7 წთ. 1 წმ.

კიდევ ოთხი მთა იყო გადასავლელი. სამაგიეროდ, პელოტონის ასეთი წყნარი სვლა მაინცდამინც არ ეჭაშნიკათ ბასკებს, "ეუსკალტელი" სათავეში მოექცა პელოტონს და ტემპს უმატა.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ თავისი გაინაღდა რიშარ ვირანკმა – ერთიმეორის მიყოლებით პირველი ადიოდა ყველა მთაზე და "მთის მეფის" ტიტულის მოსაპოვებელ ქულებს კი არ აგროვებდა, პირდაპირ ხვეტდა. დარჩენილ ორ მთიან ეტაპზე ფრანგ ველომრბოლს დასვენების სრული უფლება და საშუალებაც აქვს – მისი დამწევი კაციშვილი აღარ არის.

ძირითად ჯგუფში ყველა კითხვა უპასუხოდ დარჩა. ფინიშის ხაზი ერთდროულად გადაკვეთეს ლანს არმსტრონგმა და იან ულრიხმა, მათზე ცოტათი ადრე კი – ალექსანდრ ვინოკუროვმა. თუ მომდევნო ორ მთიან ეტაპზეც ამგვარი, საყაიმო პარტიები გათამაშდა, ტურ დე ფრანსს იან ულრიხის სახით ახალი ჩემპიონი ეყოლება და, ალბათ, სამუდამოდ დაიკარგება დიად ოთხეულში ამერიკელის მოხვედრის ოცნება, რადგან ბოლოსწინა, ინდივიდუალურ ეტაპზე გერმანელის დამმარცხებელი არც არმსტრონგია და, მით უფრო, არც ვინოკუროვი. საფიქრებელია, რომ ერთიცა და მეორეც სწორედ ამ დარჩენილ ორ მთიან ეტაპზე შეეცდება წუთების რაღაც მარაგის შექმნას, რაც, თუ ამ სამი ველომრბოლის დღევანდელ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, არც თუ ისე იოლი იქნება.

ამბები

ლამაზმანის გული საფრთხეშია

როგორც ბრიტანული ტელეკომპანია Sky იუწყება, იტალიის კუნძულზე დასასვენებლად მყოფმა ჰოლივუდის ცნობილმა ვარსკვლავმა ჯულია რობერთსმა გულის შეტევა გადაიტანა.

ჯულია რობერთსი მეუღლესთან დენი მოლდერთან ერთად პანტელერიის კულძულზე (სამხრეთ სიცილიაზე მდებარეობს) ქორწინების წლისთავის აღსანიშნავად გაემგზავრა. მსახიობი დღისით გულმა შეანუხა და ტკივილისგან დაეცა. სასტუმროს პერსონალმა და აღელვებულმა მეუღლემ ვერ მოახერხეს დაკავშირებოდნენ კულნძულის ერთადერთ ექიმს. თუმცა, მდგომარეობა არ გართულებულა - "ლამაზმანი" წამლების მიღების შემდეგ გამომჯობინდა. როგორც იგივე საინფორმაციო წყარო ამტკიცებს, ყველაფერში დამნაშავე თავად ჯულია რობერთსია, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ დღის ყველაზე ცხელ მონაკვეთშიც მზის გულზე ირუჯებოდა; განტვირთვისთვის კი ვენეციურ ღვინოებს გეახლებოდათ. ამიტომაც მსახიობს ამერიკაში დაბრუნებისთანავე სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება მოუწევს.

როჯერ დალტრის გაკვეთილები

ლეგენდარული ჯგუფის The Who-ს ფრონტმენი, რომელიც თავად მუსიკის ისტორიის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია, აპირებს სატელევიზიო არხის History Channel-ის ეთერში ტელემაყურებელს გასული საუკუნეების შესახებ მოუთხროს.

მუსიკოსი ოქტომბრიდან საზოგადოებას გადაცემის - "ისტორია როჯერ დალტრისთან ერთად" - წამყვანის ამპლუაში მოევლინება. როგორც ამბობენ, მაყურებელს დალტრის ეთერში სხვადასხვა მოულოდნელობები ელის. მაგალითად, თუკი ერთ გადაცემაში წამყვანი მოინახულებს მონტანას მთებს, მეორე გადაცემაში ნავით იმოგზაურებს კოლორადოზე, შემდეგ გადაცემაში, შესაძლოა, კოვბოის როლში მოგვევლინოს და ა.შ. თუმცა, რა თემებსაც არ უნდა შეეხოს იგი, მუსიკოსი შეეცდება თქვას მისთვის ყველაზე მთავარი: იმისათვის, რომ გახდე ისტორიის შემოქმედი, ყველაფერი საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო; და კიდევ, მთავარია გადარჩე.

რამდენადაც ცნობილია, გადაცემა პირველ ხანებში აშშ-ს სამოქალაქო ომის თემას მიეძღვნება.

"დევიდ დუხოვნი, სექსი და დიდი ქალაქი"

სერიალი რომლის ეკრანებზეც გამოსვლამ ბევრი უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია (განსაკუთრებით საეკლესიო წარმომადგენლების მხრიდან), საკმაო პოპულარობით სარგებლობს "რუსთავი 2"-ის ეთერში. ოთხი მარტოხელა, მომხიბლავი და საკმაოდ მიმზიდველი ნიუ იორკელი ქალბატონის თავგადასავალი ყოველ სერიაში სხვადასხვაგვარად ვითარდება. მალე კი მათ მომხიბლავ კომპანიაში სერიოზული, და ხშირად შიშის მომგვრელი ისტორიების გამომძიებელი აგენტი მალდერი ანუ დევიდ დუხოვნი გამოჩნდება. "რატომ დევიდი? - კითხულობს სერიალის პროდიუსერი. - იმიტომ რომ, ქერი ბრედშოუს ცხოვრება უფრო საინტერესო უნდა გახდეს. საერთოდაც, იქნებ შეგვეცვალა ფილმის სათაური და დაგვერქმია sex-files-ი, რომლის დევიზიც იქნებოდა "სექსი, სადღაც აქვეა". არავინ იცის რამდენი ხნით გამოჩნდება x-files-ის გმირი სერიალში, რომელსაც ქალის ბუნებისა და სქესთა ურთიერთობის გამოკვლევა აკისრია, თუმცა ის, რომ ყოველივე პირდაპირ კავშირში იქნება მომხიბლავ ქერისთან, ფაქტია. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, ველოდოთ იმ სერიებს, სადაც მაყურებელი თავის საყვარელ მსახიობს იხილავს ოღონდ სულ სხვა ამპლუაში.

ნელი ახალი ჟეტყობინებით

ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავი ნელი მუსიკოსთა კარგად ნაცად გზას მიჰყვება და ჯენიფერ ლოპესის, პაფ დედის და ივის მსგავსად, ტანსაცმლის საკუთარ ხაზს ხსნის. ანუ, კაცი, რომელიც აქამდე მღეროდა "აქ ძალიან დაცხა და მოდი, გაიხადე ტანსაცმელი", ამიერიდან მსმენელს ჩაცმისკენ აქეზებს. თანაც, ნელის პურიტანული მოწოდება მანდილოსნებსა და მამაკაცებზე თანაბრად ვრცელდება. ქალებისთვის შექმნილ კოლექციას "ეფლ ბოთომს" ჰქვია, მამაკაცების სამოსი კი მომღერალმა "ვოკალის" სავაჭრო ნიშნის ქვეშ გააერთიანა. კოლექციის სადებიუტო ჩვენება აგვისტოში, ლას ვეგასში დაგეგმილ ტანსაცმლის გამოფენა-ვაჭრობაზე შედგება. "ვაპირებთ 200 მილიონ დოლარიანი კომპანია შევქმნათ, თავისი შვიდი განყოფილებით, რომელიც ბავშვების ტანსაცმელსაც შექმნის, თეთრეულსაც და სუნამოებსაც".

თამაშები უფროსებისთვის

"ხელოვნების ზეიმის" თეატრალური და საგუნდო პერიპეტიები

ვერა ნეფარიძე

"ეს არ არის საბავშვო სპექტაკლი, ეს გონების ურთულესი თამაშია", - ასეთი გაფრთხილება მიიღო ბორჯომის მეორე საერთაშორისო ფესტივალის თეატრის დღეს კომპოზიტორთა სახლის არაერთგვაროვანმა მაყურებელმა. სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მესვეურები, რომლებმაც ფესტივალზე საკმაოდ ხანგრძლივი სპექტაკლი ART ჩამოიტანეს, შიშობდნენ, რომ იმ დღეს წარმოდგენაზე მოსული საზოგადოება (მათ შორის, ბევრი ბავშვი) ვერ გაუძლებდა ორსაათიან სპექტაკლს ანტრაქტის გარეშე, რომელშიც მხოლოდ სამი მსახიობი იყო დაკავებული. საბედნიეროდ, პეტერბურგელების შიში უსაფუძვლო გამოდგა. მართალია, მათ სათანადო ტექნიკური ეფექტების გამოყენება ვერ მოახერხეს, და სპექტაკლის მსვლელობისას ერთხელ დენიც კი გამოირთო, მაგრამ მქუხარე აპლოდისმენტები, დარბაზის გულწრფელი ინტერესი და მხარდაჭერა პირველიდან ბოლო წუთამდე არ მოკლებიათ.

პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრი БДТ თითქმის საუკუნოვან ისტორიას ითვლის. დაარსების დღიდან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართულ თეატრალურ სამყაროსთან. 50-იანი წლებიდან კი БДТ-ში წარმოშობით ქართველი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი მოღვაწეობდა. მან იმდენად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თეატრის სტილის ფორმირებასა და საერთოდ, თანამედროვე რუსული თეატრის ჩამოყალიბებაზე, რომ თეატრს ტოვსტონოგოვის სახელი მიენიჭა. "ჩვენი თეატრი პროქართული თეატრია", - აღნიშნეს დასის წევრებმა და სიამოვნებით გაიხსენეს სხვა ქართველი ხელოვანებიც, გია ყანჩელი, გიორგი ალექსი-მესხიშვილი, იური ზარეცკი, რომლებმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს БДТ-ს ისტორიაში.

პეტერბურგელმა თეატრალებმა "ხელოვნების ზეიმზე" საკმაოდ უჩვეულო, თანამედროვე სპექტაკლი ART ჩამოიტანეს. იგი რუსეთიდან საფრანგეთში ემიგრირებული ებრაული ოჯახიდან გამოსული იასმინა რეზას ერთაქტიანი პიესის მიხედვითაა შექმნილი. პიესა 1994 წელს დაიწერა და მოლიერისა და ლოურენს ოლივიეს პრესტიჟული პრემიებით დაჯილდოვდა. БДТ-ში ის 1998 წელს დაიდგა. მოქმედება საფრანგეთში ვითარდება და გმირებიც წესითა და რიგით, ფრანგები არიან. ამის მიუხედავად, რუსული თეატრალური ტრადიციის გავლენისა თუ თავად პიესის ავტორის ჩანაფიქრით, ჩვენ წინაშე ძალზედ ნაცნობი და ცოტათი მონატრებული ტიპური, ანდა ოდნავ მოდერნიზებული რუსული ინტელიგენციის სამყარო გადაიშალა.

ART ხელოვნებას, ოსტატობას ნიშნავს, თუმცა სპექტაკლის ავტორებმა მასში კიდევ უფრო ფართო, ადამიანების ურთიერთობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ხელოვნება ჩააქსოვეს. ART განსხვავებული ცხოვრების წესის, აზრის, პოზიციის, კონცეფციის მოსმენის ხელოვნებაა, ღირსების დაკარგვის გარეშე კომპრომისის მოძებნის უნარია. სიუჟეტი ძალზედ მარტივია: სამი განსხვავებული ესთეტიკური მრწამსისა თუ ღირებულებების მქონე ადამიანი, ძალზე დიდი ხნის მეგობრობის შემდეგ ეჭვქვეშ აყენებს ძველისძველ ურთიერთობას, ერთი ნახატის გარშემო ატეხილი კამათის გამო.

ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული სტუმარი ივან მონიგეტი

ორსაათიანმა სპექტაკლმა გამოცდას გაუძლო

გარკვეულწილად, სპექტაკლი ორმაგ სიბრტყეზე ვითარდებოდა: ზედაპირზე წმინდა ადამიანური სიყვარულის და პატივისცემის ისტორია ვითარდება – "არასოდეს არ უნდა დატოვო მეგობრები დიდი ხნით მარტო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ხელიდან გისხლტებიან და იკარგებიან". დიალოგებისა და რეპლიკების დახვეწილი სისტემა კი მეორე პლანზე საკმაოდ საჭირბოროტო ესთეტიკურ პრობლემებს აყენებს: ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების განსხვავებული ფორმებისა და შინაარსების შეჯახებას, საწყისების ნგრევას, დეკონსტრუქციას და როგორც ერთ-ერთი გმირი ამბობს, "ადამიანს, რომელიც სივრცის საზღვრებს გადალახავს და თანდათან იკარგება მასში".

ფინალი საკმაოდ თბილი გამოდგა – "ჰეპი ენდის" ევროპული ვერსია: ადამიანები გრძნობენ მხატვრულ პრინციპებს შორის ერთმანეთის დაკარგვის და ესთეტიკური საგნების დეკონსტრუქციაში საკუთარი ადამიანურობის მსხვრევის საფრთხეს და ცდილობენ, მკვეთრი და საბოლოოდ, არცთუ მნიშვნელოვანი პოზიციების დათმობით, უფრო ძვირფასი ღირებულებების გადარჩენას და ნივთებსა და უაზროდ ფულის ხარჯვის მანერაში გაფანტული საკუთარი თავის დაბრუნებას.

უნდა აღინიშნოს მსახიობების, რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტების: ანდრეი გოლუბევის, გენადი ბოგაჩოვისა და ვალერი დეკტიარის, მართლაც, საოცარი ოსტატობა და უნარი – საკმაოდ სტატიური მოქმედების ფონზე ორი საათის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შენელებინათ დაძაბულობა და ბოლომდე სავსებით დაეტყვევებინათ მაყურებლის ყურადღება და ემოციები.

ძალზე განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა თეატრის დღის მეორე სტუმარი დასი - ხელის ჩრდილების თეატრი "ბუდრუგანა-გაგრა". დასიც და მათი წარმოდგენებიც საკმაოდ ცნობილია. ეს განახლებული სახელი კი მათ ბოლო დროს იმის აღსანიშნავად დაირქვეს, რომ დასის წევრები წარმოშობით აფხაზეთიდან, გაგრიდან არიან. როგორც რეჟისორმა გელა კანდელაკმა განაცხადა, "თეატრის დასი კინემატოგრაფისტებით არის დაკომპლექტებული. მათ დააარსეს ქართული კინოსტუდია და მოუთმენლად ელიან აფხაზეთში დაბრუნებას, რათა თავიანთი სამუშაო იქ გააგრძელონ". ხელის ჩრდილების თეატრი საკმაოდ ძველი დასია (1987 წელს დაარსდა). გელა კანდელაკის თქმით, "მაშინ ის იმ მიზნით შეიქმნა, რომ საქართველოს რეგიონებში გაემართა წარმოდგენები". პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მათი დებიუტი პარიზში შედგა და დღემდე მას უცხოეთში უფრო იცნობენ (წარმატებით მოიარეს ფესტივალები საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიასა და იაპონიაში). მათი დადგმებიც: "სოფლის მაშენებელნი" და "დათვის ბელი ლაზარეს თავგადასავალი", მართალია, ძველი, მაგრამ ბევრისთვის მაინც უცნობი იყო. განსაკუთრებული წარმატება მათ "საკონცერტო ნომრებს" ჰქონდათ (დათვებისა და სხვა ცხოველების საცეკვაო ნომრები, ბრუბეკისა და "მანჰეტენ ტრანსფერის" თემებზე).

თეატრის სახალისო, ოდნავ მსუბუქი დღე "ხელოვნების ზეიმზე" გუშინ კვლავ საკმაოდ რთული, ინტელექტუალური მუსიკის კონცერტმა გააგრძელა. ჩვენთვის უკვე ცნობილი სოლისტების: ივან მონიგეტისა და თავად ლიანა ისაკაძესთან ერთად სცენაზე ახლადშექმნილი კამერული გუნდი, "პირველი" გამოჩნდა. პირველი გამოსვლა მათ ამ ზამთარს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჰქონდათ. თუმცა, ახალგაზრდა "პირველის" მიღმა ქართული სასცენო ხელოვნების ისეთი თვალსაჩინო სახელი დგას, როგორიც ლოტბარი გივი მუნჯიშვილია. ახალგაზრდა მეცენატის, კონცერტმეისტერ ნანა ხუბდაძის მხარდაჭერით, გუნდმა ძალზედ მცირე დროში მიაღწია სერიოზულ პროფესიულ დონეს და მისი გუშინდელი გამოსვლაც ამის მშვენიერი მაგალითია. გარდა გუნდის საკუთარი პროგრამისა (მოცარტის, რახმანინოვის, ჩიმაკაძის ნაწარმოებები), ისაკაძესა და მონიგეტისთან ერთად, მათ თანამედროვე კომპოზიტორების, ტავენერისა და ვასკისის ძალზედ რთული, ემოციურად და ტექნიკურად დამუხტული ნაწარმოებები შეასრულეს. დიდებული სოლისტებისა და ახალი გუნდის ტანდემი საინტერესო გამოდგა. ახალგაზრდა გუნდმა მალევე აუღო ალღო ახალი მუსიკალური ესთეტიკის პრინციპების ღრმა მცოდნე სოლისტების მანერას და საშემსრულებლო სტილს. გუშინდელი კონცერტის კიდევ ერთი განსხვავებული ეტაპი თავად კამერული ორკესტრის გამოსვლა გახლდათ. კონცერტი სწორედ მათ გახსნეს ჩაიკოვსკის "ფლორენციული სუვენირით", რომელიც კამერული ორკესტრისათვის თავად ლიანა ისაკაძემ გადაამუშავა.

დღეიდან "ხელოვნების ზეიმზე", შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი იწყება. ორი მომდევნო კონცერტი უფრო ტრადიციული, კლასიკური პროგრამებისგან შედგება. "მინისა და მინერალური წყლების" მხარდაჭერით ბორჯომის მეორე საერთაშორისო ფესტივალს ამჯერად რუსული მუსიკალური სკოლის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები ეწვევიან, როგორიც დიმიტრი შოსტაკოვიჩის სახელობის სიმებიანი კვარტეტი და პიანისტი ნიკოლაი პეტროვი გახლავთ.

"საკმაოდ შთამბეჭდავია თქვენი გაკეთებული საქმეების ჩამონათვალი"

ევროსაბჭოს ექსპერტები გვეკითხებიან, როგორ დაგვეხმარონ

ივლისის მეორე ნახევარი ზოგიერთისთვის იდეალური პერიოდია საშვებულებოდ, ზოგიერთისთვის კი სამუშაოდ. ევროსაბჭოს ექსპერტები, რომელთაც გუშინ თბილისში სამუშაო კვირა დაეწყოთ, ალბათ, ორივეს მოასწრებენ – სამსახურებრივი, სამივლინებო მისიის შესრულებასა და დასვენებასაც (ისინი ხომ სამუშაო კვირის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდნენ). იგივეს ვერ ვიტყვით მათ უშუალო მასპინძლებზე - ქალაქის კულტურის სამსახურის თანამშრომლებს ევროპელი სტუმრების მიღებიდან საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაუჩნდათ.

ვერა ნეფარიძე

კვირა დატვირთულია როგორც შეხვედრების განრიგით, ისე შინაარსობრივად. ყოველ შემთხვევაში, დასაწყისი ნამდვილად ასეთი იყო. სამუშაო კვირის პირველივე დღე ევროსაბჭოს ექსპერტებმა ქალაქის მერიასთან არსებული კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთან, დათო ოქიტაშვილთან და "კულტურის გადარჩენის ფონდის" (რომელიც სამსახურთან არსებული ფონდია) წარმომადგენლებთან შეხვედრით დაიწყეს. ოთხკაციანმა დელეგაციამ (ისინი მუშაობენ ევროსაბჭოს პროექტზე STAGE) ოქიტაშვილთან მოისმინა კულტურის საქალაქო სამსახურის მიღწევები, ფონდის სამუშაოს ერთგვარი ანგარიში და ძირითადი პრობლემების მოკლე მონახაზი. რასაც მოჰყვა ჩარლზ ლანდრეის (დიდი ბრიტანეთი) სიტყვები: "საკმაოდ შთამბეჭდავია თქვენი გაკეთებული საქმეების ჩამონათვალი. ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ თქვენი აზრი, თუ რაში გჭირდებათ კონკრეტულად ჩვენი დახმარება; მოგიყვეთ სხვა ქვეყნების გამოცდილების შესახებ". საკმაოდ პირდაპირი მოსაუბრე გამოდგა დათო ოქიტაშვილიც, რომელმაც ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პირდაპირ მიუთითა: "ყველაფერი მიდის ფინანსებამდე. პრობლემებს წყვეტს ფინანსები". რამდენად სწორად გაიგეს სტუმრებმა კულტურის საქალაქო სამსახურის ნათქვამი, და შეცვლის თუ არა ეს რაიმეს მათ სამუშაო მისიის აღსრულებაში, ამას, ალბათ, სამუშაო კვირის დასასრულს შევიტყობთ.

ევროსაბჭოს ექსპერტების ახლანდელი ვიზიტი გაზაფხულზე, კრწანისის რეზიდენციაში გამართული დებატების ერთგვარი გაგრძელებაა. ორივე ერთად კი იმ პროექტის (STAGE) ნაწილია, რომელსაც ევროპის საბჭოს კულტურის პოლიტიკის დეპარტამენტი ამიერკავკასიის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ახორციელებს. ამჯერად ექსპერტები დომენიკო რონკონი (იტალია), ჩარლზ ლანდრეი (დიდი ბრიტანეთი), მარია თეოდორუ (საბერძნეთი) და კორინა რაჩანუ (რუმინეთი) თბილისში კონკრეტული მიზნით არიან. კონკრეტულად თბილისში ისინი ერთი კვირის განმავლობაში შეხვდებიან სახელმწიფო თუ დამოუკიდებელ, სხვადასხვა კულტურული თუ სახელოვნებო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ შემოქმედებს, კულტურის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებს, შეისწავლიან არსებულ, ზოგად კულტურულ მდგომარეობას და ამასთან დაკავშირებით მოამზადებენ მოხსენებას. ეს ყველაფერი კი იმისთვისაა საჭირო, რომ მოგვიანებით ექსპერტებმა მოამზადონ მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი კულტურული გეგმა ამიერკავკასიის სამივე ქალაქისთვის. გუშინდელ შეხვედრაზე, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, რამდენიმე სერიოზული, ალბათ, რთულად შესათანხმებელი პრობლემა უკვე გამოჩნდა. ამ პრობლემებზე ერთი კვირის განმავლობაში იმსჯელებენ. შედეგები კი მოგვიანებით იქნება ცნობილი, მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს ექსპერტები საქართველოს დატოვებენ, რადგან, როგორც გუშინ ოქიტაშვილმა გვითხრა: "ნაკლებად მჯერა ასეთი შეხვედრების. ყველაფერი მათი წასვლის შემდეგ გაირკვევა, იმიტომ, რომ ბევრი მინახავს ჩამოსული და წასული".

ბედნიერი ეპოქა დაიწყო

უინონა რაიდერის ცუდი პერიოდი, როგორც იქნა, წარსულს ჩაბარდა. ხანგრძლივი სასამართლო პროცესების შემდეგ, რომლებზეც რაიდერის ქურდობის საქმეს იხილავდნენ (ინციდენტი ნიუ იორკის მეხუთე ავენიუზე, მაღაზია "საქსში" მოხდა), მსახიობი კინოსამყაროში დაბრუნდა და ერთბაშად ორი კონტრაქტი გააფორმა. "ნიუ იორკ პოსტის" ცნობით, უინონა ითამაშებს მილოშ ფორმანის ფილმში *Embers* – შონ კონერისთან და კლაუს მარია ბრანდაუერთან ერთად. შემდეგ კი მთავარ როლს შეასრულებს რობერტ ალტმანის სურათში "ქვრივი კლერი", რომელშიც მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს ხდება.

სხვათა შორის, ფილმი *Embers*-ი ფორმანისეული დუმილის ხანგრძლივი პერიოდის დარღვევადაც უნდა მივიჩნიოთ. რეჟისორს ხომ 1999 წლის შემდეგ არაფერი გადაუღია. მაშინ ეკრანზე "კაცი მთვარეზე" გამოვიდა, ჯიმ კერისა და დენი დე ვიტოს მონაწილეობით და ფორმანიც დადუმდა. ასე რომ, *Embers*-ზე მუშაობის დასრულებას არა მხოლოდ რაიდერის ფანები ელიან.

რაიდერმა კი საქმეები მოდის ბიზნესშიც გამოასწორა. უკვე ჟურნალებმაც გამოთქვეს სურვილი, თავიანთი გარეკანები უინონას სახით დაამშვენონ, მარკ ჯეკობსმა კი საერთოდაც ის თავისი ახალი სარეკლამო კამპანიის მთავარ გმირად დაასახელა. როგორც "ნიუ იორკ პოსტი" ამტკიცებს, მსახიობს წარმატებები აქვს სასიყვარულო ფრონტზეც. მას მუსიკოს პეიჯ ჰამილტონთან ერთად ხედავენ.

ცუდი ბიჭები ცხელ ზაფხულში

კომედია "ცუდი ბიჭები" უილ სმიტისა და მარტინ ლოურენსის მონაწილეობით ერთ დროს ძალიან პოპულარული ფილმი იყო. ფაქტობრივად, ამ ფილმის შემდეგ გაიკეთა სმიტმა წარმატებული კარიერა, რომელშიც "მამაკაცები შავებში" ყველაზე დიდ ადგილს იკავებს. ახლა სმიტს უფრო დიდი პოპულარობის მოხვეჭის შანსი აქვს – გუშინ, 18 ივლისს ამერიკულ კინოთეატრებში "ცუდი ბიჭები 2" გამოვიდა. "სონი ფიქჩერზი" იმედოვნებს, რომ ფილმის მეორე ნაწილი დაჯაბნის ამ კვირაში გამოშვებულ კიდევ რამდენიმე ახალ ფილმს. ამის გარანტიას სმიტი-ლოურენსის დუეტის გარდა ცნობილი რეჟისორი და პროდიუსერი ჯერი ბრუკჰაიმერი და მაიქლ ბერი იძლევიან. ფილმი 2 საათნახევრიანია და სავსეა მძაფრი სიუჟეტებით.

"სონის" იმის იმედიც აქვს, რომ "ცუდი ბიჭები 2" გაიმეორებს პირველი ფილმის ფინანსურ წარმატებასაც. 1995 წელს კომედიამ შტატებში 65.8 მილიონი დოლარი მოაგროვა. მისმა მეორე ნაწილმა კი პირველ უიკენდზე 40-50 მილიონი დოლარი უნდა მოიტანოს.

ევგენი ევტუშენკო, პოეტი

ანა კორძაია-სამადაშვილი

"საღამო მშვიდობისა. მე ევგენი ევტუშენკო ვარ," ამ სიტყვებით დაიწყო გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრში ევგენი ევტუშენკოს საიუბილეო საღამო, რომელსაც მისი ძველი მეგობრებისა და პოეზიის თაყვანისმცემლების გარდა, საქართველოს პრეზიდენტი და პოლიტიკური მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. ნაწილი მას სამოქალაქო პოეტად თვლიდა, ნაწილი მისი ლირიკის ტრფიალი იყო, სხვები კი ბატონ ევტუშენკოს საქართველოსადმი სიყვარულით, ჩვენი ქვეყნისა და მისი მოქალაქეების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებით არიან მოხიბლული. ალბათ, ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ ქართული საზოგადოება სიხარულითა და მოწონებით შეხვდა ევგენი ევტუშენკოსთვის ღირსების ორდენის გადაცემის ფაქტს.

საიუბილეო ტურნე მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზში დაიწყო, სწორედ იქ, სადაც 60-იან წლებში სიტყვის ოსტატები უზარმაზარ აუდიტორიას იზიდავდნენ, და "სამოციანელთა" შორის ევგენი ევტუშენკოც იყო. გარდა ამისა, თურმე ბატონ ევტუშენკოს პოლიტექნიკურ ისნსტიტუტთან ფრიად საინტერესო კონტრქატი აქვს დადებული: 2019 წლამდე ის თავის დაბადების დღეს სწორედ ამ დარბაზში აღნიშნავს ხოლმე.

მეორე დღესვე პოეტი საქართველოში გამოემგზავრა და ბაღდათი მოინახულა, სადაც ორმაგი იუბილე იყო აღნიშნული – მისი 70-ე დაბადების დღე და ვლადიმირ მაიაკოვსკის 110 წლისთავი. საქართველოს შემდეგ ბატონი ევგენი რუსეთის მრავალ ქალაქს მოივლის, კამჩატკამდეც კი მივა.

მაშ, ასე: ევგენი ევტუშენკო, 1933 წლის 18 ივლისს ირკუტსკის ოლქის სადგურ ზიმაზე დაბადებული, დაბადების დღეს საქართველოშიც აღნიშნავდა. ეს არ ალბათ, ყველას გვახსოვს 1979 წელს "მერანის" მიერ გამოცემული დიდი კრებული "მიწაზე მძიმე", რომელშიც ევგენი ევტუშენკოს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები და ქართული პოეზიის თარგმანებია შესული.

ევგენი ევტუშენკო ოპერის თეატრის სცენაზე

როგორც ბატონმა ლაშა თაბუკაშვილმა საღამოს დაწყებისთანავე მოგვახსენა, ოსტატმა ლექსები წაიკითხა – ნაღვლიანი, მხიარული თუ ტრაგიკული, დამაფიქრებელი და მრავალი მოგონების აღმძვრელი. ამ პოეტის პოპულარობას, მოგეხსენებათ, მისი ლექსების კითხვის მანერაც განაპირობებს და ამის მოწმენი გუშინ კიდევ ერთხელ გავხდით.

ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში თავად პოეტმა ბრძანა, რომ "ადამიანები, რომლებიც ლექსებს აღარ კითხულობენ, სულიერ თვითმკვლელობას სჩადიან". გუშინდელ თავყრილობას როცა ვიხსენებ, შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ჩვენთან ასეთი "სულიერი თვითმკვლელობისკენ" სწრაფვა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ამის დასტური სავსე დარბაზი და ოპერის თეატრის შესასვლელთან თავმოყრილი უამრავი სოლიდური ადამიანი იყო, რომლებიც რომელიმე როკ-მუსიკოსის ფანატების მსგავსად იბრძოდნენ საიუბილეო საღამოზე დასასწრებად.

თავად იუბილარის თქმით – ეს სიტყვები ამ საღამოს სცენასაც ამშვენებდა – ის, ვინც საქართველო დაივიწყა, რუსეთში პოეტი ვერ იქნება. ამ კრიტერიუმითაც თუ ვიმსჯელებთ, ევგენი ევტუშენკო ნამდვილად რუსი პოეტი გახლავთ.

აზიამ მსოფლიო მოდა უნდა დაიპყროს

აზიის ქვეყნებში მოდის ინდუსტრიის მზარდი განვითარება შეინიშნება. იაპონიაში იქმნება მხატვარ-მოდელიერთა საერთაშორისო გაერთიანება, რომელსაც აზიის მოდის ფედერაცია დაერქმევა სახელად. მისი დაარსების ინიციატორები იაპონელი, ჩინელი და სამხრეთკორეელი დიზაინერები არიან. მოდელიერთა გაერთიანება მიმდინარე წლის დეკემბრიდან დაიწყებს მუშაობას. "მსოფლიო მოდაში აზიის ხანა დგება," - ამბობს კაცუხიკო ხირაი, ტექსტილის კონცერნის - Toray Industries Inc. ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ფედერაციის თავმჯდომარედ დაინიშნა იაპონიის მხრიდან. ფედერაციის იაპონურ საბჭოში 90-მდე წევრია, არა მარტო მოდის ინდუსტრიიდან, არამედ სხვა ბიზნესიდანაც, მაგალითად, საბჭოში შეეხდებიან საავტომობილო ინდუსტრიის წარმომადგენლებსაც.

"მინდა, რომ აზიური კულტურა და ცხოვრების წესი მთელ მსოფლიოში გავავრცელო, - ამბობს ხირაი, - ჩვენი ულიმლამო ეკონომიკის პირობებშიც კი მოიძებნებიან კომპანიები, რომლებიც ნიჭიერ და შემოქმედებით ადამიანებს აერთიანებს, ეს კი საშუალებას მოგვცემს მიზანს მივაღწიოთ."

ისიც უნდა ითქვას, რომ მოდის ფედერაციის შექმნის ფაქტი იაპონელ მეწარმეებს საგონებელში აგდებს. ჩინეთი და სამხრეთი კორეა იაპონიის სახიფათო კონკურენტები არიან, ეს ქვეყნები ხომ, იაპონიისგან განსხვავებით, დაბალი ფასების პოლიტიკას ატარებენ.

ფედერაციის იაპონელი პრეზიდენტი ამ საშიშროებას არად აგდებს და იმ ეპოქაზე ოცნებობს, როცა მოდის სამყაროში აზიური ფეშენი გაბატონდება. "როდესაც აზიის ქვეყნებში ვმოგზაურობ, ვგრძნობ, თუ როგორ შემოქმედებით ძალასა და აღმაფრენას მაძლევს ამ ქვეყნების სულიერი კულტურა, - ამბობს საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხირაი.

TV პროგრამა
22 ივლისი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.45** დოკ. ფილმი "ბუნება" **19.15** პერეკროსტოკი **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ". მთ. რ-ში: პიერ რიჰარი, ალდო მაჩიონე.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.15** მხ. ფილმი "ექსპერიმენტი ფილადელფია" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.00** ლერერის შოუ **14.00** სერიალი "ქალთა სავანე" 1-ლი ს. **15.15** მხ. ფილმი "მზის ბნელი მხარე" **16.50** ტელესერიალი "ძილის წინ" **17.05** შემეცნ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლიეუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **21.55** "სათავეებთან" **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი "ბაგრატიონი".

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროლო **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მაფია" მთ.რ-ში ჯეი მორი, ლოიდ ბრიჯესი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სვეტი ხაზი **00.00** "ბრავო" "დანიშნულების პუნქტი" მთ. რ-ში დევონ სავა, ალი ლარტერი. **01.40** "ღამურა" "მცველი დაქირავებით" მთ. რ-ში ჯეიმს ბელუში, ლინდა ჰემილტონი. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** სერიალი "რვაფეხა" **20.30** დოკ. ფილმი **21.00** გლობუსი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "კ-2 მაქსიმალური სიმაღლე".

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი" **15.00** მხ. ფილმი "ტუტსი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "დოქტორ მოროს კუნძული" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" **23.00** დოკ. ფილმი.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი "დროის მანქანა" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **14.50, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში" **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. "ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ" **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ყვირილი" **01.10** ღამის ფილმი.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" **10.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი "ქალი პოლიციელი" **12.00, 15.15, 17.50, 19.50** მუსიკა **12.15** მხ. ფილმი "წმინდანი" **14.00** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **15.30** მხ. სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "წარსული და ანმყო" **18.05** სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" **18.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი "ქალი პოლიციელი" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი "ციებ-ცხელება" **22.25** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფ. "არავინ დაზარალდება" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი "სიკვდილისგან გაქცევა".

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "უფლის მსგავსად" **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ირთი კვირა" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** ღარის მახე **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ეროვნული უშიშროების აგენტი" **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო "უდაბნოს კანონი" **02.00** ქრონიკა.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** ფანტასტიკა "იასონი და არგონავტები" **10.45** მუსიკა **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.10** სათავგადასავლო ფილმი "განძის მაძიებელნი" **14.00** მუსიკა **14.20** კომედია "მაფიის ცოლი" **16.10, 19.20, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტსერიალი **17.25** მელოდრამა "სახედრო ექიმი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.50** Пресс-папье **19.45** დოკუმენტური ფილმი **20.20** მხატვრული ფილმი "ბრიტანიკი" **21.55** "გალერეა" **23.00** "რა არ ხდება" **23.10** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** მუსიკა **01.25** სათავგადასავლო ფილმი "მარტოხელა ფრენა" **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.15** ფანტასტიკა "გატაკა" .

VII არხი

09.10 მელოდია **09.25** "აჩიკუდა" **09.50** "ბედნიერი ერი" **09.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.20** მელოდია - **10.30** მობილურები **11.20** მელოდია . **11.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** კომპიუტერული თამაშები **12.35** დისნეი და მისი მეგობრები **12.55** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** "ღამის კაპარიზი" - თემა: . **21.25** მობილურები **22.40** "კინოკლუბი" - "უკანასკნელი სიტყვა". დეტექტივი . რეჟ: ტონი სპირიდაკისი. როლებში: ტიმოთი ჰატონი, ჯო პანტოლიანო. **00.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **00.45** მელოდია.

ОРТ

7.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал "Земля любви, земля надежды"** **11.05 Худ.фильм "Королева Марго"** **12.05** "Смехопанорама" **12.35** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.15 Детектив "ДЕЛО "ПЕСТРЫХ"** **15.05 Сериал "Ваш ход, инспектор"** **16.15** Док. сериал "Чикаго на Борисовских прудах" **16.50 Мелодрама "ДРУГАЯ СЕСТРА"** **19.20 Сериал "Герой нашего племени"** **19.55 Сериал "НИРО ВУЛЬФ И АРЧИ ГУДВИН"** **22.00, 00.30** Время **22.30 Худ.фильм "Русские в Городе Ангелов".** **"Чемпион"** **23.35 Сериал "Шпионка"** **01.00** "На футболе" **01.30** Чемпионат мира по водным видам спорта в Испании **01.55 Комедия "СВОДНИК".**

РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал "По имени Барон..."** **10.40 Сериал "АНИСКИН И ФАНТОМАС"** **1-я с. 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.20 Сериал "Марш Турецкого-2"** **14.15, 17.45** "Экспертиза" **14.30** "Дорожный патруль" **14.45** Вести - Москва **15.20** "Что хочет женщина" **16.10 Сериал "Семейные тайны"** **17.15 Сериал "Простые истины"** **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 02.40** "Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал "Комиссар Рекс"** **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Сериал "Марш Турецкого-2"** **00.00 Комедия "ДРАКУЛА, МЕРТВЫЙ И ДОВОЛЬНЫЙ"** **01.50** "Кинескоп" **02.55 Сериал "БЕТТИ"** **03.45 Сериал "ГРОС-ПОИНТ".**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **10.05 Сериал "ЖИЛ-БЫЛ Я..."** **11.00** "Сегодня утром" **11.15 Фильм "ЭСКАДРОН ГУСАР ЛЕТУЧИХ"** **1 с. 13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна Советов" **14.35 Сериал "СЛЕД ОБОРОТНЯ"** **15.45** "Криминал" **16.35** Ток-шоу "Принцип "Домино" **18.30 Сериал "Скорая помощь 2"** **19.25** Док. Драма 'ПРЕСТУПЛЕНИЕ И НАКАЗАНИЕ' **20.35 Сериал "Улицы разбитых фонарей"** **21.45 Сериал "След оборотня"** **23.00** "Страна и мир" **23.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"** **00.40 Сериал "КЛАН СОПРАНО"** **01.50** "Сегодня" **02.15** Гордон.

ბიჭუნა სახელად სიუ - ძალადობის პროვოკატორი

მელანქოლიური ჯონი კეში მსმენელში აგრესიულ გრძნობებს აღძრავს

სანამ არენაზე ემინემი გამოჩნდებოდა, ჯგუფი "ფროდიჯი" თანამედროვე აგრესიული მუსიკის ეტალონად ითვლებოდა. შემდეგ ეს ტიტული ემინემმა და 25-კაციანმა ბრიტანულმა ჯგუფმა "სოუ სოლიდ ქრიუმაც" გაიყვეს. სამივე მათგანს ფსიქოლოგები ერთნაირ ბრალდებას უყენებდნენ: ეს მუსიკოსები ძალადობას აღმერთებენ და აგრესიულობას დადებით იდეალად გარდაქმნიან.

თუმცა, ახლახანს ფსიქოლოგები შეთანხმდნენ, რომ დამნაშავენი მხოლოდ ემინემი, "ფროდიჯი" და ბრიტანელი მომღერლები არ არიან. ახალი კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რომ უარყოფითი ემოციები და ძალადობით სავსე ფიქრები იმგვარმა მელანქოლიურმა სიმღერებმაც კი შეიძლება დაბადოს მსმენელში, როგორებსაც ქანთრის მომღერალი ჯონი კეში ასრულებს. ფსიქოლოგების დასკვნით, კეშის 1969 წლის ჰიტი, A Boy Named Sue ამის შესანიშნავი მაგალითია. მართალია, სიმღერა ქანთრის ჩვეულ სტილშია შესრულებული, მაგრამ მისი ტექსტიც კი საკმარისია იმისთვის, რომ მსმენელში ნეგატიური განცდები აღძრას.

ასე რომ, ფსიქოლოგები ასკვნიან: მსმენელის გასააღიზიანებლად აუცილებელი არ არის, მუსიკა მძიმე როკის ან განგსტერული რეპის ჟანრს მიეკუთვნებოდეს, ყურს თვითონ უარყოფითი ემოციებით სავსე ტექსტიც ძალიან აღიზიანებს. ამის დასტურად ისინი ერთ ძველ, კომიკურ სიმღერას, ელ იანკოვიჩის The Night Santa Went Crazy-საც იხსენებენ. მუსიკა ძალიან მელოდიური და წყნარია, მაგრამ ავტორი მასში ირემის, სახელად რუდოლფის მოკვლის სცენას აღწერს და ამერიკელი ფსიქოლოგებიც ამტკიცებენ, რომ გონებაში ძალადობრივი იმპულსების გადასაცემად ეს პატარა, სისხლიანი დეტალიც კი კმარა.

სპეციალისტების ეს ერთ-ერთი ბოლო კვლევა ახალ-ახალი და თან კონკრეტული მაგალითებითაა სავსე, თუმცა პოპ-მუსიკისა და ძალადობის თემაზე ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან კამათობენ. მეტიც, 1959 წელს აშშ-ს რადიო-სადგურებმა ეთერიდან მოხსნეს ლინქ რეის სიმღერა Rumble, რადგან მიაჩნდათ, რომ ის მსმენელში აგრესიას აღძრავდა. ამ შემთხვევაშიც დამნაშავე იყო ტექსტი, თორემ მელოდია გიტარით სრულდებოდა და აგრესიულისა არაფერი ეტყობოდა.

ახალ კვლევაში კი სპეციალისტებმა ხუთი სახის ექსპერიმენტი ჩაატარეს. ცდებში 500 ამერიკელი სტუდენტი მონაწილეობდა. აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტეხასის საზოგადოებრივი სამსახურის დეპარტამენტის მკვლევარები კი ცდილობდნენ გაეგოთ, თუ რა ეფექტი ჰქონდა ცდისპირებზე შვიდ აგრესიულ და რვა მშვიდ სიმღერას. პირველი ჯგუფის სიმღერებში შედიოდა მძიმე როკის წარმომადგენელი ჯგუფის "თულზის" Jerk-Off და "საიფრეს ჰილის" Shoot'Em Up. რამდენიმე სიმღერაში თვითმკვლელობის თემაც დომინირებდა. საბოლოოდ, მკვლევარების დასკვნა ასეთი იყო: "აგრესიული მელოდია ხელს უწყობს ისედაც აგრესიული ტექსტის გაგებას და მსმენელში სიმღერის აგრესიულ ინტერპრეტირებას".

მეტიც, სპეციალისტების საბოლოო დასკვნა დაუპირისპირდა აქამდე გავრცელებულ მოსაზრებას, რომ აგრესიული სიმღერის მოსმენა მსმენელს უარყოფითი ემოციებისგან ათავისუფლებს. ამერიკელებმა დაასკვნეს, რომ პირიქით, ამ დროს აგრესიული ფიქრები და ემოციები კიდევ უფრო აგრესიულ ქცევაში გადაიზრდება – იგულისხმება სიტყვიერი გაღიზიანებაცა და ფიზიკური ძალადობის გამოვლენაც. თუმცა, ფსიქოლოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ ასეთ შემთხვევებში აგრესია, შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდეს.

"მთავარი დასკვნა, რაც ამ ექსპერიმენტებმა გვაჩვენა არის ის, რომ სიმღერის შინაარსს მსმენელის ცნობიერებაზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს და განსაკუთრებით კი, მშობლებმა", - განაცხადა დოქტორმა კრეიგ ანდერსონმა. მისი თქმით, იუმორისტული სიმღერებიც კი შეიძლება აგრესიის გავრცელების მიზეზი გახდეს.

სწორედ ამ ფონზე გაახსენდათ სპეციალისტებს ჯონი კეში და მისი A Boy Named Sue – სიმღერა, რომელიც 1969 წლის ოქტომბერში ბრიტანულ პოპ-ჩარტებში მეოთხე ადგილამდე მიაღწია. ეს ძველი ჰიტი გვიამბობს ბიჭის ამბავს, რომელსაც მამამ გოგოს სახელი, სიუ დაარქვა. გამწარებული ბიჭი მამის მოკვლას გადაწყვეტს. და როდესაც ის ბარში შედის, წარმოთქვამს სიტყვებს, რომელიც ქანთრის მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფრაზად შეიძლება მივიჩნიოთ: "მე მქვია სიუ. გამარჯობა! ეხლა შენ მოკვდები".

შემდეგ სიუ აგრძელებს: "მერე, მაგრად მოვადე თვალებშუა/ის დაეცა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად/ საიდანღაც დანა გამოიღო და ყური ჩამომაჭრა/ მერე მე კბილებში სკამი ვესროლე/ კედელს მივენარცხეთ და ქუჩაში გავცვივდით/ ერთმანეთს ვურტყამდით, ვგორაობდით ტალახში, სისხლსა და ლუდში ამოთხვრილები".

მკვლევარებს ამჯერად არ უცდიათ, გაეგოთ, ახდენს თუ არა რეალურად უარყოფით გავლენას მსმენელზე ის სამი ძველი სიმღერა, რომელთაც აგრესიით სავსე ტექსტები აქვთ: ბობი დერინის 1950 წლის ჰიტი Mack the Knife, ჯიმი ჰენდრიქსის 1967 წლის სინგლი Hey Joe და ტომ ჯონსის 1968 წელს გამოსული სასიყვარულო ბალადა Delilah. თუმცა, თუ ამერიკელების ეს კვლევა მართალია და თუ მსმენელში აგრესიული იმპულსების გასავრცელებლად მელოდიური სიმღერის ტექსტიც კმარა, მაშინ ბრაზიან ემინემსა და მყვირალა "ფროდიჯის" სიყვარულზე მომღერალი ტომ ჯონსიც უნდა გავუთანაბროთ. მის Delilah-ში ხომ ლირიკული გმირი საყვარელ ქალს კლავს. ის მიდის ქუჩაში და დილაილას ფანჯრებში სინათლეს დაინახავს. ქალი მას სხვა მამაკაცთან ღალატობს. მოტყუებული შეყვარებული იცდის, სანამ უცნობი კაცი არ წავა, შემდეგ დანით მიდის დილაილასთან და კლავს მას.

ტომ ჯონსის სიმღერას "ორერაც" ასრულებდა

ემინემი თანამედროვე აგრესიული მუსიკის მამამთავრად ითვლება

REUTERS

ამერიკული კომპანია **PEPSI KOLA**-ს ოფიციალური ბოთლერი საქართველოში შ.პ.ს. "იბერია რეფრეშმენტი" იწვევს 30 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.

აუცილებელი მოთხოვნები

- განათლება უმაღლესი
- უპირატესობა მიენიჭებათ მანქანის მართვის მცოდნე პირებს

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,გამოგზავნოთ ავტობიოგრაფია cv 15 აგვისტომდე ფაქსზე: 9134 58

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.